# საქართველოს რესპუბლიკა

ელექტრონული ვერსია იხილეთ SAKRESP.GE

გამოდის 1918 წლიდან • ფასი 1,5 ლარი

№115-116 (10118-10119) 2026 წლის 27 აგვისტო, ხუთშაბათი




6

## სიფრთხილე არ ნიშნავს სიმხდალეს

## ქვეყნის სირცხვილი



## ირაკლი ღარიბაშვილი ახალ ბრალდებას პოლიტიკურ აბსურდს უწოდებს!

იხ. 3 გვ.



8

## ფესვებს მივხედოთ, ძმობის ფესვებს, აფხაზებო და ოსებო!

ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან



10

## ეკა ზღულაძის ქმარი და მიჰას შნირი გახდება საფრანგეთის პრეზიდენტი?!

მსოფლიოში პირველად შობადობა მოსახლეობის აღწარმოების დონეზე დაბლა დაეცა



4

## მომავლის შიში სამყაროს მოედო!

## რუსები უარესის მოლოდინში,



13

## ქვეყნიდან ხალხი და ფული გაედინება!



12

## დღეს უსაფრთხოება ისაა, რომ მთავარმა მტაცებელმა არ შეგვამჩნიოს!

## ირაკლი კობახიძე:
# სტუდენტი– ახალგაზრდობა ქვეყნის მთავარი საყრდენია!



**სტუდენტობას გილოცავთ ყველას, ვინც ერთიანი ეროვნული გამოცდები წარმატებით ჩააბარეთ, თქვენი დაუღალავი შრომა და მონდომება ღირსეულად დაფასდა. იწყება სრულიად ახალი, საინტერესო და დიდი შესაძლებლობებით სავსე ეტაპი, □** ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე** სოციალურ ქსელში წერს.

მისივე თქმით, განათლებული, პატრიოტი და მოაზროვნე ახალგაზრდობა ქვეყნის მთავარი საყრდენია.

**□სწორედ თქვენი ხმა, შემართება და ძალისხმევა განსაზღვრავს საქართველოს ხვალინდელ დღეს. მჯერა, თქვენს ცოდნასა და ენერგიას ჩვენი სამშობლოს წინსვლასა და გაძლიერებას მოახმართ. ვულოცავ და მადლობას ვუხდი თქვენს მშობლებს და პედაგოგებს, რომლებმაც უდიდესი ამაგი ჩადეს ამ წარმატებაში. ნაყოფიერ, საინტერესო და დაუვიწყარ სტუდენტურ წლებს გისურვებთ□**

# 34.150 აბიტურიენტი სტუდენტი გახდა!

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ახალ ინფორმაციას ავრცელებს.**

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ინფორმაციას ავრცელებს და ჩარიცხულთა რანჟირებულ სიას ფაკულტეტებისა და არჩევითი საგნების მიხედვით აქვეყნებს.

უმაღლესი განათლების რეფორმის ფარგლებში, წელს აბიტურიენტებს მიეცათ შესაძლებლობა, მათთვის სასურველი რაოდენობის უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამებიც აერჩიათ.

ამასთანავე, სახელმწიფო უზრუნველყოფს იმ აბიტურიენტების სრულ დაფინანსებას, რომელთაც სწავლის უფლება მოიპოვეს სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

**2026 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის უფლება მოიპოვა 34150-მა აბიტურიენტმა.**

**საბაკალავრო საფეხურზე ისწავლის 29481 აბიტურიენტი. მათგან, სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში ჩაირიცხა 17 862 აბიტურიენტი, ხოლო კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში 11 619 აბიტურიენტი.**

**პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის გაგრძელების უფლება მოიპოვა 3141-მა აბიტურიენტმა (1322 – სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებელში, 1819 – კერძო პროფესიულ სასწავლებელში).**

**ქართულ ენაში მომზადების პროგრამაზე ჩაირიცხა 1528 გამოსაცდელი (სახელმწიფო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში – 1495, კერძო უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში - 33).**

**შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი შეახსენებს აბიტურიენტებს, რომ ხელშეკრულების გასაფორმებლად აუცილებლად დაუკავშირდნენ იმ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას, სადაც მოიპოვეს სწავლის უფლება.**



# არ აჰყვეთ უსინდისოთა აჟიოტაჟს!

## ფონდი „ქართუს“ განცხადება

**ფონდი □ქართუ□განცხადებას ავრცელებს. როგორც განცხადებაშია ნათქვამი, ფონდმა შეიძინა ყველა ის სესხი, რომლებიც აკმაყოფილებდა წინასწარ გაცხადებულ კრიტერიუმებს, კერძოდ, სესხები, რომელთა ძირი არ აღემატებოდა ორი ათას (2000) ლარს და რომელთა მიმართებაშიც მოვალეებს (ფიზიკურ პირებს) ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ გადახდილი სესხის პროცენტი.**

**□ბოლო დროს სოციალურ მედიაში გავრცელდა ყალბი ინფორმაციის შემცველი განცხადებები, რაზედაც საჭიროდ ვთვლით პასუხის გაცემას. მოგახსენებთ, რომ 2018 წელს □ფონდმა ქართუმ□□სოციალური სოლიდარობის აქტის□ფარგლებში გამოისყიდა ფიზიკური პირების ოთხი მილიარდ ას ოთხი მილიონ ოთხას ოცდაცხრა ათას ოთხას ოთხმოცდაოთხი (4 104 429 484) ლარის მოცულობის პრობლემური ვალდებულებები. ამ უპრეცენდენტო ქველმოქმედების აქტით განხორციელდა ექვსას თხუთმეტი ათას ას სამოცდაოთხი (615 164) პირის ერთი მილიონ სამას ოთხმოცდაშვიდი ათას ორას ოთხმოცდათექვსმეტი (1 387 296 ) სესხის პატიება. პროგრამა შეეხო საქართველოში მოქმედ 55 ბანკსა და სხვა სამართლებრივი ფორმის ფინანსურ ინსტიტუციას. ესოდენ დიდი მოცულობის პრობლემური სესხის ჩამოწერამ უდავოდ შეამსუბუქა მათი მდგომარეობა და გააჯანსაღა ქვეყნის ფინანსური გარემო.**

**ფონდმა შეიძინა ყველა ის სესხი, რომლებიც აკმაყოფილებდა წინასწარ გაცხადებულ კრიტერიუმებს. კერძოდ, სესხები, რომელთა ძირი არ აღემატებოდა ორი ათას (2000) ლარს და რომელთა მიმართებაშიც მოვალეებს (ფიზიკურ პირებს) ბოლო ერთი წლის განმავლობაში არ ჰქონდათ გადახდილი სესხის პროცენტი.**

**აქვე ხაზს ვუსვამთ იმ გარემოებას, რომ სესხები გამოსყიდულია მხოლოდ იმ ფინანსური ინსტიტუტებისგან, რომლებმაც თანხმობა განაცხადეს ამ პროგრამაში მონაწილეობაზე. მოქალაქეებს, ვისაც ეს პროგრამა შეეხო, მათი სტატუსის გადამოწმება და შესაბამისი ცნობების აღება შეუძლიათ საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტინფოდან. ასევე, მოქალაქის წერილობითი მომართვის შემთხვევაში □ფონდი ქართუ□გასცემს შესაბამის ინფორმაციას (ცნობას) კონკრეტული სესხის თაობაზე.**

**□ფონდი ქართუ□კიდევ ერთხელ აცხადებს, რომ ეს ვალდებულებები გამოისყიდა მხოლოდ მათი პატიების მიზნით და გამორიცხულია ფონდის მიერ სესხებზე რაიმე სახის მოთხოვნა. ამრიგად, თუ დღეს რომელიმე ფიზიკურ პირს საკრედიტო დაწესებულებამ მოსთხოვა ხსენებული პერიოდის სესხის დაფარვა, ეს ან შეცდომაა, რისი გადამოწმებაც მარტივად შეიძლება, ან ეს კონკრეტული ვალდებულება არ აკმაყოფილებდა დადგენილ კრიტერიუმებს და, შესაბამისად, არ მოხვდა 2018 წლის პროგრამაში. ყველა დაინტერესებულ პირს მოვუწოდებთ, არ აჰყვეს არაკეთილსინდისიერ პირთა მიერ ატეხილ აჟიოტაჟს და გადაამოწმოს თავისი ვალდებულებების სტატუსი შესაბამის სტრუქტურებში□**



## ალექსანდრე დარახველიძე:
# დეზინფორმაციას არ ენდოთ!

**საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის ალექსანდრე დარახველიძის განცხადებით,** მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ვრცელდება მანიპულაციური და დეზინფორმაციული ინფორმაცია, რომ ბოლო პერიოდში საქართველო-რუსეთის სახმელეთო საზღვარზე მგზავრთა შემოდინების მაჩვენებელი გაზრდილია.

**□პირველ რიგში, განვმარტავთ, რომ, ზოგადად, ზაფხულის პერიოდში გაზრდილია მგზავრთა ნაკადები ტურისტული სეზონის გამო. ასევე, მონაცემი, რომელსაც ეყრდნობიან კონკრეტული მედიასაშუალებები, მოიცავს როგორც მგზავრთა საქართველოში შემოსვლის, ასევე გასვლის მაჩვენებელს. უნდა აღინიშნოს, რომ გასვლის მაჩვენებელი აღემატება შემოსვლის მაჩვენებელს. ასევე, აღნიშნული ციფრით ხდება საზოგადოების მანიპულირება, თითქოს ეს არის მთლიანად რუსეთის ფედერაციის მოქალაქეების საერთო რაოდენობა, რაც, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება სიმართლეს.**

**ეს მონაცემი შეიცავს როგორც რუსეთის ფედერაციის, ასევე საქართველოს მოქალაქეების, სხვა ქვეყნის მოქალაქეების, მათ შორის აზერბაიჯანის, სომხეთის, ყაზახეთის და ასე შემდეგ, სხვადასხვა ქვეყნის მოქალაქეების ჯამურ მაჩვენებელს. გვსურს, საზოგადოება დავამშვიდოთ და ვუთხრათ, რომ აღნიშნული მონაცემები, რომელიც სპეკულაციურად ვრცელდება და მიზნად ისახავს საზოგადოების შეცდომაში შეყვანას, არ არის დაკავშირებული რაიმე ტიპის საფრთხეებთან.**

**შინაგან საქმეთა სამინისტრო და თითოეული სახელმწიფო უწყება აკეთებს მაქსიმუმს, რათა ქვეყანაში ხელი შეეწყოს როგორც ტურისტების შემოსვლას, ამავე დროს დაცული იყოს ჩვენი საზღვრების უსაფრთხოება და ნებისმიერი ისეთი პიროვნება, რომელიც შესაძლოა, საფრთხეს უქმნიდეს ქვეყნის უსაფრთხოებას, დროულად იქნეს გამოვლენილი და არ მოხდეს მათი დაშვება სახელმწიფო საზღვარზე. ამიტომ მოვუწოდებ საზოგადოებას, გადაამოწმონ ინფორმაცია ოფიციალურ წყაროებთან და არ დაეყრდნონ იმ მონაცემებს, რომლებსაც სპეკულაციურად და მანიპულაციურად ავრცელებს ზოგიერთი მედიასაშუალება□, □**განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ.

**რაც შეეხება სტატისტიკურ მონაცემებს, ბოლო ერთ კვირაში (17-24 აგვისტომდე) სასაზღვრო გამშვები პუნქტის, ლარსის გავლით შემოვიდა □52 953, ხოლო გავიდა 61 691 პირი.**

# ამერიკამ მთელი მსოფლიოს მასშტაბით ვიზებზე განაცხადების მიღება შეაჩერა

**სახელმწიფო დეპარტამენტის განმარტებით, საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების მიზნით იწყება პერსონალის გადამზადება აშშ-ის საელჩოებსა და საკონსულოებში, რის გამოც სავიზო განაცხადების მიღების გრაფიკი ამ ღონისძიებების გათვალისწინებით გაიწერება.**

ამასთან, სახელმწიფო დეპარტამენტში არ აზუსტებენ ტრენინგების ვადებსა და დეტალებს. მათივე ცნობით, ეს პროცესი მიმართულია იმაზე, რომ დაეხმაროს საკონსულოს თანამშრომლებს, გამოავლინონ ის აპლიკანტები, რომლებიც, მათი აზრით, შესაძლოა, გახდნენ აშშ-ის მთავრობის შეღავათებზე დამოკიდებული. მანამდე გამოცემა **Financial Times**-მა გაავრცელა ინფორმაცია, რომ აპლიკანტებმა, რომელთაც უკვე ჩანიშნული ჰქონდათ გასაუბრებები საელჩოებსა და საკონსულოებში, ელექტრონული ფოსტით მიიღეს შეტყობინებები, რომ მათი გასაუბრება გადაიდო და ახალი თარიღის შესახებ ინფორმაცია მოგვიანებით ეცნობებათ.



# ირაკლი ღარიბაშვილი ახალ ბრალდებას პოლიტიკურ აბსურდს უწოდებს!

## განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე პროკურატურამ ღარიბაშვილს ახალი ბრალი წარუდგინა

**საქართველოს პროკურატურამ განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ აღების ფაქტზე საქართველოს ყოფილ პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს ბრალდება წარუდგინა. ამის შესახებ საქართველოს გენერალური პროკურორის მოადგილემ ამირან გულუაშვილმა განაცხადა.**



□2026 წლის 12 აგვისტოს პროკურატურას გამოძიებასთან თანამშრომლობის სურვილით მომართა საქართველოს ყოფილი თავდაცვის მინისტრის ნათესავმა, მსჯავრდებულმა **ვასილ მხეიძემ** და გამოძიებას მიაწოდა მის ხელთ არსებული სრული ინფორმაცია, ასევე დაიკითხა და გამოძიებასთან ითანამშრომლა **ჯუანშერ ბურჭულაძემაც.** სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ ჩატარებული შემხვედრი საგამოძიებო-საპროცესო მოქმედებების შედეგად კი დადგინდა, რომ 2021-2024 წლებში ირაკლი ღარიბაშვილი იკავებდა რა პრემიერ-მინისტრის თანამდებობას, წარმოადგენდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირს. კანონმდებლობის შესაბამისად, სხვა ფუნქციებთან ერთად, იგი განსაზღვრავდა მთავრობის საქმიანობის ძირითად მიმართულებებსა და ორგანიზებას უწევდა მთავრობის საქმიანობას, ასევე ახორციელებდა მინისტრების საქმიანობის კოორდინაციასა და კონტროლს.

ამავე პერიოდში საქართველოს თავდაცვის მინისტრის თანამდებობას იკავებდა ჯუანშერ ბურჭულაძე და ასევე წარმოადგენდა სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირს. კანონმდებლობის შესაბამისად, იგი, როგორც მინისტრი, ანგარიშვალდებული იყო საქართველოს პრემიერ-მინისტრის წინაშე და სხვა უფლება-მოვალეობებთან ერთად კოორდინაციას უწევდა სამინისტროს სტრუქტურული ქვედანაყოფების საქმიანობას, ახორციელებდა სამინისტროს შესაბამის თანამდებობის პირთა გადაწყვეტილებებისა და საქმიანობის სამსახურებრივ ზედამხედველობას.

2022 წლის ბოლოდან საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმოეშვა სხვადასხვა ძვირადღირებული სამედიცინო აპარატურისა და ინვენტარის შეძენის საჭიროება, რაც უნდა განხორციელებულიყო საიდუმლო შესყიდვის გზით. აღნიშნულ პროცედურებში მონაწილეობის მიზნითა და არამართლზომიერი ფინანსური სარგებლის მისაღებად, ჯუანშერ ბურჭულაძესთან შეთანხმებით, მისი ნათესავი ვასილ მხეიძე დაუკავშირდა შესაბამისი გამოცდილების მქონე ნაცნობ ბიზნესმენს, რომელსაც შესთავაზა შესყიდვის იმგვარი ფორმით გამოცხადება, რაც გარანტირებულად უზრუნველყოფდა სასურველი ფასით ამ უკანასკნელთან დაკავშირებული კომპანიის გამარჯვებას, სანაცვლოდ კი მოითხოვა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულების 10%-ის ნაღდი ფულის სახით მისთვის გადაცემა.

მას შემდეგ, რაც ვასილ მხეიძესთან დაკავშირებულმა პირმა საწყის ეტაპზე თავი შეიკავა დანაშაულებრივი შეთანხმებისაგან და მოითხოვა მეტი გარანტიები უმაღლესი თანამდებობის მქონე პირებისგან, იმჟამინდელი თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე, როგორც ანგარიშვალდებული პირი, შეუთანხმდა იმჟამინდელ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ირაკლი ღარიბაშვილს მასზედ, რომ თავდაცვის სამინისტროს საჭიროებებისათვის შესყიდვებს განახორციელებდა იმგვარი ფორმით, რაც უზრუნველყოფდა ზემოხსენებულ მეწარმესთან დაკავშირებული კომპანიების გარანტირებულად, სასურველი ფასით გამარჯვებას, სანაცვლოდ კი მიიღებდნენ სოლიდურ არამართლზომიერ ფინანსურ სარგებელს.

მიიღო რა სრული სამსახურებრივი მფარველობა ირაკლი ღარიბაშვილისგან, რომელმაც თავის მხრივ მოითხოვა შესაბამისი მატერიალური სარგებლის მისთვისაც გადაცემა და დაუდასტურა შერჩეული ბიზნესმენის სანდოობა მსგავს საკითხებში, ჯუანშერ ბურჭულაძის დავალებით, საქართველოს თავდაცვის მინისტრის იმჟამინდელმა მოადგილემ გიორგი ხაინდრავამ და შესყიდვების დეპარტამენტის იმჟამინდელმა უფროსმა ვლადიმერ ღუდუშაურმა სამინისტროს მიერ სსიპ □გიორგი აბრამიშვილის სახელობის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო ჰოსპიტალისთვის□სხვადასხვა სამედიცინო აპარატურისა და ინვენტარის შეძენის პროცესში მიზანმიმართული ქმედებებით შექმნეს არაკონკურენტული გარემო, რის შედეგადაც არარეალური გარიგებების დადების გზით ხელოვნურად გაიზარდა საიდუმლო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებებით შესაძენი საქონლისა და მომსახურების ღირებულება. შედეგად, 3 საიდუმლო შესყიდვის დროს ზემოხსენებულ პირებთან დაკავშირებულმა კომპანიებმა, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს 11 499 705 ლარის რეალური ღირებულების მქონე სამედიცინო აპარატურა და სხვა ინვენტარი მიაწოდეს 18 484 960 ლარად.

პარალელურად ზემოხსენებული შესყიდვებისა, შესაბამისი გარანტიებისა და მფარველობის სანაცვლოდ, შესყიდვებში მონაწილე ბიზნესმენმა რამდენიმე ეტაპად ვასილ მხეიძეს ნაღდი ფულის სახით გადასცა მთლიანი სახელშეკრულებო ღირებულებების დაახლოებით 10% □1 900 000 ლარი, საიდანაც ამ უკანასკნელმა პირადი სარგებლის სახით დაიტოვა 400 000 ლარი, ხოლო დარჩენილი თანხა სრულად გადასცა ჯუანშერ ბურჭულაძეს. ამ უკანასკნელმა ქრთამის სახით მიღებული 1 500 000 ლარიდან, 750 000 ლარი დაიტოვა თავად, ხოლო თანხის მეორე ნახევარი □750 000 ლარი რამდენიმე ეტაპად ასევე ქრთამის სახით ხელზე გადასცა ირაკლი ღარიბაშვილს.

ზემოხსენებული ქმედების შედეგად სახელმწიფოს მიადგა დიდი ოდენობით □6 985 255 ლარის ქონებრივი ზიანი და არსებითად დაირღვა საჯარო ინტერესი.

პროკურატურამ ირაკლი ღარიბაშვილს ბრალდება წარუდგინა საქართველოს სსკის 338-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,ა□,„გ□ქვეპუნქტებითა და მესამე ნაწილის „ე□ქვეპუნქტით, რაც გულისხმობს სახელმწიფო-პოლიტიკური თანამდებობის მქონე პირის მიერ ჯგუფურად განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღებას და სასჯელის სახით 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება საქმეში ფიგურანტ სხვა მოხელეებს, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ ისინი ზემოხსენებულ ფაქტებთან დაკავშირებით უკვე მსჯავრდებულები არიან სასამართლოს მიერ და განსაზღვრული აქვთ შესაბამისი სასჯელი, მათ შორის ჯუანშერ ბურჭულაძეს მისჯილი აქვს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს პროკურატურა ირაკლი ღარიბაშვილის ბრალდების საქმეზე სასამართლოს მიმართავს მხოლოდ წინასასამართლო სხდომის განსაზღვრის თაობაზე შუამდგომლობით, რადგან ეს უკანასკნელი სასჯელს უკვე იხდის სხვა სისხლის სამართლის საქმეზე დამდგარი გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე□ □განაცხადა **ამირან გულუაშვილმა.**



ჯუანშერ ბურჭულაძე



ვასილ მხეიძე

## პროკურორი:
# ბრალდების მხარემ დადგენილება გამოიტანა

**გამოძიება მიმდინარეობდა, აქტიურად ტარდებოდა საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებები. როდესაც შეიქმნა ის მტკიცებულებითი სტანდარტი, რომელიც საკმარისი იყო ირაკლი ღარიბაშვილისთვის ბრალდების წარსადგენად, ბრალდების მხარე გამოიტანა დადგენილება ბრალდების შესახებ, □ამის შესახებ პროკურორმა ანი ლაკაშვილმა** ირაკლი ღარიბაშვილის საქმეზე დასმული კითხვის საპასუხოდ განაცხადა.

პროკურორის თქმით, ყოფილი პრემიერის საქმეზე ძიება ჯერ კიდევ გასულ წელს დაიწყო და ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, საქმეს დაერთო ისეთი მტკიცებულებები, რომელიც, მისივე შეფასებით, ღარიბაშვილის ბრალეულობას ადასტურებს.

25 აგვისტოს პროცესზე დაცვის მხარეს მედიასთან კომენტარი არ გაუკეთებია. 24 აგვისტოს პროკურატურამ ირაკლი ღარიბაშვილს განსაკუთრებით დიდი ოდენობით ქრთამის აღების ფაქტზე ახალი ბრალი წარუდგინა.

# ირაკლი ღარიბაშვილი სოციალურ მედიაში მორიგ პოსტს აქვეყნებს

**25 აგვისტოს ხელისუფლებამ თავად დაამოწმა ჩემს მიერ წინა კვირას გამოქვეყნებული წერილის ავთენტურობა. საზოგადოებას მინდა კიდევ ერთხელ ვუთხრა, რომ მე ყველაფერი ვცადე და მაქსიმუმი გავაკეთე იმისთვის, რომ თავიდან ამერიდებინა ეს პროცესი, მაგრამ აღმოვჩნდი სასტიკი რეალობის წინაშე.**

ეს არის დაუნდობელი პოლიტიკური ბრძოლა, უსამართლობა და ბოროტება ჩემს წინააღმდეგ. მე აღარ ვაპირებ ამ სამარცხვინო და ჩვენი ქვეყნისთვის შეურაცხმყოფელ პოლიტიკურ მასკარადში მონაწილეობას. შესაბამისად, არც სასამართლო პროცესში მივიღებ მონაწილეობას. ჩემს ინტერესებს მხოლოდ ჩემი ადვოკატები წარმოადგენენ და დაიცავენ. აქვე ვაცხადებ, რომ ჩემი ამ გადაწყვეტილებით არავის შეურაცხყოფას არ ვაყენებ – არც პროკურორებს და არც მოსამართლეებს.

უბრალოდ, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს არის პოლიტიკური პროცესი და ვიცი, რა და როგორ მართავს პოლიტიკურ პროცესს სისტემა, აზრს ვერ ვხედავ, ვიარო სასამართლო სხდომებზე და ჩავერთო პოლიტიკურ მასკარადში. მე აღარ ვმონაწილეობ თქვენს სპექტაკლში! აღარც ის მაინტერესებს, რომელ პატიმარს/მძევალს თქვენი მხრიდან განხორციელებული ფსიქოლოგიური და მორალური ზეწოლის მეთოდებით რას დააწერინებთ ჩემზე და რა ბრალს წამიყენებთ.

მოსახდენი უკვე მოხდა, ამიტომ, ჩემი ერთადერთი გზა და ბრძოლის იარაღი ჩემი სიმართლეა. ვაპირებ, საჯაროდ ვესაუბრო საზოგადოებას და ვუთხრა ჩემი სიმართლე. დაე, ხალხმა განსაჯოს!

# მოთმინებითა ჩვენითა დაველოდოთ უკეთეს პროსპექტს!

**რუსთაველის გამზირის მიმდებარე ქუჩებზე პირველი სექტემბრიდან გადაადგილების დროებითი სქემა ამოქმედდება. რუსთაველის გამზირზე მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებთან დაკავშირებით დედაქალაქის მუნიციპალიტეტმა შეიმუშავა საავტომობილო გადაადგილების დროებითი სქემა, რომელიც პირველი სექტემბრიდან ამოქმედდება.**

დედაქალაქის მთავარი გამზირის მიმდებარე ქუჩებზე გადაადგილების ალტერნატიული სქემის მნიშვნელობაზე თბილისის მერმა **კახა კალაძემ** დღეს გავრცელებულ ვიდეომიმართვაში ისაუბრა.

კერძოდ, ახალი სქემის თანახმად, რიგ ქუჩებზე დაწესდება ორმხრივი მოძრაობა, ასევე, შემუშავდა ორი ძირითადი მიმართულება, რომლითაც შესაძლებელი იქნება თბილისის კლასიკურ გიმნაზიასთან მოხვედრა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, რუსთაველის გამზირის რეაბილიტაცია იქნება საუკეთესო პროექტი, რომლითაც ყველა იამაყებს, თუმცა მანამდე საჭიროა, დედაქალაქის მოსახლეობა მოთმინებით მოეკიდოს სამუშაოებით გამოწვეულ დისკომფორტს.




**□რამდენიმე დღის წინ ვისაუბრე რამდენად მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქისთვის აღნიშნული პროექტის განხორციელება, ასევე, ვისაუბრე რუსთაველის გამზირის მნიშვნელობაზე □მის წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე, თუ რამდენად მძიმე მდგომარეობაა და რა პრობლემებია მიწისქვეშა ინფრასტრუქტურის თვალსაზრისით. რა თქმა უნდა, პირველი, რაც კეთდება, არის მიწისქვეშა კომუნიკაციების შეცვლა, რასაც ახლავს ძალიან დიდი დისკომფორტი, განსაკუთრებით გადაადგილების თვალსაზრისით, ასევე, ხმაური და მტვერი, რაც იქ მცხოვრებ მოსახლეობას აწუხებს, თუმცა ამ მასშტაბის სამუშაოების წარმოება სხვანაირად აბსოლუტურად შეუძლებელია. შესაბამისად, ჩემი თხოვნა იყო, რომ ყველამ ერთად უნდა მოვითმინოთ ნოემბრის ბოლომდე და მერწმუნეთ, როდესაც რეაბილიტაცია დასრულდება, ეს იქნება საუკეთესო პროექტი და ყველა ვიამაყებთ შესრულებული სამუშაოებით□** □აღნიშნა **კახა კალაძემ.**

მისი თქმით, გადაადგილების დროებითი სქემის შესახებ ინფორმაცია განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მძღოლებისთვის, შესაბამისად, ვიდეორგოლის სახით ის, სოციალური პლატფორმების გარდა, ტელევიზიითაც გავრცელდება, რათა ფართო საზოგადოებას ჰქონდეს სრული ინფორმაცია სიახლეებთან დაკავშირებით.

**რაც შეეხება მოძრაობის დროებით სქემას, პირველი სექტემბრიდან პავლე ინგოროყვას ქუჩაზე ორმხრივი მოძრაობა იქნება შესაძლებელი; ორმხრივი მოძრაობა დასაშვები ხდება 9 აპრილის ქუჩის ნაწილზეც, ინგოროყვას ქუჩის კვეთიდან ზურაბ ჟვანიას ქუჩის კვეთამდე არსებულ საგზაო მონაკვეთში; ჟვანიას ქუჩის გარკვეულ მონაკვეთში (9 აპრილის ქუჩის კვეთიდან ზაქარია ჭიჭინაძის ქუჩის კვეთამდე) შესაძლებელი იქნება ორმხრივი მოძრაობა, ხოლო ბესიკის ქუჩის კვეთამდე გადაადგილება ცალმხრივი იქნება.**

**გარდა ამისა, ბესიკის ქუჩის მონაკვეთი, კერძოდ, ჟვანიას ქუჩის კვეთიდან შევჩენკოს ქუჩის კვეთამდე იქნება ცალმხრივი, ასევე, ცალმხრივი მოძრაობა იქნება შევჩენკოს ქუჩაზე, ბესიკის ქუჩიდან ჭიჭინაძის ქუჩის მიმართულებით; ლერმონტოვის ქუჩაზე გადაადგილება კვლავ ცალმხრივი იქნება, თუმცა შეცვლილი მიმართულებით □შესაძლებელი ხდება ქიქოძისა და მაჩაბლის ქუჩებიდან ლერმონტოვის ქუჩის გავლით შალვა დადიანის ქუჩაზე მოხვედრა.**

**თბილისის კლასიკურ გიმნაზიასთან მოხვედრა შესაძლებელი იქნება ორი ძირითადი მიმართულებით. კერძოდ, მძღოლები თავისუფლების მოედნიდან ლეონიძისა და ინგოროყვას ქუჩების გავლით დაუკავშირდებიან 9 აპრილის ქუჩას, შემდეგ მარცხნივ მოხვევით გადავლენ ჟვანიას ქუჩაზე და მოძრაობას გააგრძელებენ ბესიკისა და შევჩენკოს ქუჩებისკენ. ასევე, როგორც ჭონქაძის, ისე პოლიკარპე კაკაბაძის ქუჩიდან გადავლენ მთაწმინდის ქუჩაზე და არსენას ქუჩის გავლით დაუკავშირდებიან ბესიკისა და შევჩენკოს ქუჩებს.**

**შევჩენკოს ქუჩიდან მარცხნივ მოხვევით უკან დაბრუნება შესაძლებელი იქნება ჟვანიას, 9 აპრილისა და ინგოროყვას ქუჩების საშუალებით, საიდანაც მძღოლები ლეონიძისა და ქიქოძის ქუჩებით დაუკავშირდებიან ლერმონტოვისა და დადიანის ქუჩებს, ასევე თავისუფლების მოედანს; მთაწმინდის ზედა ქუჩებზე მოხვედრა დასაშვები იქნება 9 აპრილის ქუჩიდან არსენას ქუჩის გავლით.**

თბილისის მერიის პრესსამსახური



# მომავლის შიში სამყაროს მოედო!

## მსოფლიოში პირველად შობადობა მოსახლეობის აღწარმოების დონეზე დაბლა დაეცა

**მეცნიერები მივიდნენ დასკვნამდე, რომ ისტორიაში პირველად, შობადობა მსოფლიოში მოსახლეობის აღწარმოების დონეზე დაბლა დაეცა,** – ინფორმაციას მედია მოხსენებაზე Terra Incognita: The Economics of a Shrinking World დაყრდნობით ავრცელებს.

პენსილვანიისა და ჩრდილო-დასავლეთის უნივერსიტეტების მკვლევართა ჯგუფმა 1950 წლიდან მოყოლებული 236 ქვეყნის მონაცემები გააანალიზა. მათგან 210-ში შობადობის შემცირების ტენდენცია გამოვლინდა.

**2026 წელს შობადობის დონე აღწარმოების ნიშნულს ქვემოთ ჩამოვიდა. მანამდე მსგავსი რამ არასდროს მომხდარა – არც ომებისა და არც პანდემიების დროს. თუმცა, მეცნიერებისთვის მოულოდნელად, ვარდნა დაბალი და საშუალო შემოსავლის მქონე ქვეყნებშიც დაფიქსირდა. შობადობის გლობალური მაჩვენებელი ამჟამად ერთ ქალზე 2,2 ბავშვს შეადგენს. დღეს სამხრეთ კორეაში, ჩინეთში, ტაილანდში, კოლუმბიასა და სხვა ქვეყნებში დაფიქსირებული შობადობის დონე ისტორიაში არც ერთ საზოგადოებაში არ დაფიქსირებულა. მაჩვენებელი მცირდება მთელი მსოფლიოს მასშტაბით, ეკონომიკის მდგომარეობის, მდებარეობისა და რელიგიის მიუხედავად.**

**მანამდე გაეროში განაცხადეს, რომ მსოფლიოში შობადობის შემცირების მიზეზებია ფინანსური სირთულეები, საცხოვრებლის ნაკლებობა, არასტაბილური დასაქმება, პარტნიორის არყოლა და მომავლის შიში. ამასთან, ბევრს კვლავ სურს შვილები: ქალების 38%-ს და კაცების 35%-ს ორი ბავშვის ყოლა სურს. მკვლევართა პროგნოზით, ტენდენციის შენარჩუნების შემთხვევაში, დედამიწის მოსახლეობა პიკს- დაახლოებით 9 მილიარდ ადამიანს – 2056 წელს მიაღწევს, რის შემდეგაც შემცირებას დაიწყებს.**

## დავით სონღულაშვილი:

# მეცხოველეობის მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა



**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრმა დავით სონღულაშვილმა, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულთან ილია ჯალაღანიასთან ერთად, გარდაბნის მუნიციპალიტეტის სოფელ სართიჭალაში, სოფლის განვითარების სააგენტოს ბენეფიციარი კომპანიის □გარდაბნის მეცხოველეობა“ ფერმა დაათვალიერა. მინისტრმა კომპანიის წარმომადგენლებისგან მეურნეობის საქმიანობისა და განვითარების გეგმების შესახებ ინფორმაცია მოისმინა.**

შპს □გარდაბნის მეცხოველეობა□ორ ფერმას ფლობს. სოფელ სართიჭალაში მდებარე ფერმა მეხორცული მიმართულებისაა, ხოლო სოფელ ლემშვენიერაში არსებული მეურნეობა სანაშენე მიმართულებით საქმიანობს.

**□მნიშვნელოვანია, ქვეყანაში გაიზარდოს თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი ფერმების რაოდენობა და გაძლიერდეს როგორც სანაშენე, ისე მეხორცული და მერძეული მიმართულებები. სწორედ ამიტომ ახალ აგროთანადაფინანსების პროგრამაში მეცხოველეობის მიმართულებას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა და გათვალისწინებულია კონკრეტული მექანიზმები ფერმების განვითარებისა და წარმოების გაფართოებისთვის. ჩვენი ამოცანაა, ხელი შევუწყოთ ადგილობრივი წარმოების ზრდას, პროდუქტიულობის გაუმჯობესებას და კონკურენტუნარიანი მეცხოველეობის სექტორის ჩამოყალიბებას□** □განაცხადა **დავით სონღულაშვილმა.**

ფერმების მოწყობისა და საქმიანობის განვითარების მიზნით კომპანიამ 2024-2026 წლებში რამდენჯერმე ისარგებლა პროექტით □შეღავათიანი აგროკრედიტი□ პროგრამის ფარგლებში მიღებულმა ფინანსურმა მხარდაჭერამ კომპანიის საწარმოო შესაძლებლობების გაფართოებას შეუწყო ხელი.

**პროექტ □შეღავათიანი აგროკრედიტის□ ფარგლებში 2012-2026 წლებში საქართველოს მასშტაბით მესაქონლეობის განვითარების მიზნობრიობით კომერციული ბანკების მიერ 709.5 მლნ ლარის ღირებულების სესხებია გაცემული, ხოლო სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებამ 156.3 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ქვემო ქართლის რეგიონში გაცემულია 138.3 მლნ ლარის ღირებულების სესხები, სოფლის განვითარების სააგენტოს თანადაფინანსებამ კი 31.8 მლნ ლარი შეადგინა.**

**სოფლის განვითარების სააგენტო მესაქონლეობის დარგის მხარდაჭერას მიმდინარე წლის 1 ივლისიდან □აგროთანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამის□ფარგლებში აგრძელებს. პროგრამა მიზნად ისახავს აგროსექტორში წარმოების განვითარებასა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის შექმნის ხელშეწყობას.**

**მეცხოველეობის ფერმაში, მინისტრთან ერთად, სოფლის განვითარების სააგენტოს დირექტორი ზურაბ გოზალიშვილი, სურსათის ეროვნული სააგენტოს უფროსი გიორგი იაკობაშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ.**

# ეროვნული ბანკი მოსახლეობას კიდევ ერთხელ აფრთხილებს!

**ეროვნული ბანკის მომხმარებელთა უფლებების დაცვის დეპარტამენტის უფროსი ლაშა გზირიშვილი სოციალურ ქსელებში, მათ შორის, Facebook გვერდებსა და ჯგუფებში გააქტიურებული კამპანიების შესახებ მოსახლეობას აფრთხილებს, რომელიც კრიპტოაქტივებით ვაჭრობაში ინვესტირებასა და ამ გზით თანხების გამომუშავების შეთავაზებას უკავშირდება. ის მოქალაქეებს საკუთარი თანხების დაბანდებამდე განსაკუთრებული სიფრთხილისკენ მოუწოდებს და ურჩევს წინასწარ შეაფასონ თანხის დაკარგვის რისკები.**




ლაშა გზირიშვილის განცხადებით, აღნიშნული მოდელი შესაძლოა, წარმოადგენდეს „ფინანსური პირამიდის“ კლასიკურ მოდელს, რომლის მთავარი მიზანი არა თანხის მომგებიან აქტივებში დაბანდება, არამედ სქემაში ახალი წევრების მოზიდვაა.

**„მსგავსი ტიპის საქმიანობა შესაძლოა წარმოადგენდეს „ფინანსური პირამიდის“ კლასიკურ მოდელს, რომლის მთავარი მიზანია არა თანხის ბიზნეს საქმიანობაში ან მომგებიან აქტივებში დაბანდება, არამედ სქემაში ბევრი ახალი წევრის ჩართვა და მათი სახსრების მოზიდვა, რადგან სწორედ ამ თანხით ხდება სქემის მონაწილეებისთვის თითქოსდა ბიზნეს საქმიანობიდან, ამ შემთხვევაში კრიპტოაქტივებით ვაჭრობიდან, მიღებული მოგების გადახდა. ამასთან, რაც უფრო მეტი ადამიანი ერთვება სქემაში, მით უფრო იზრდება მისი სიცოცხლისუნარიანობა“,** – განაცხადა **ლაშა გზირიშვილმა.**

მისივე თქმით, სქემის ფუნქციონირების საწყის ეტაპზე, სანამ ადამიანები აქტიურად წევრიანდებიან, კამპანია საკმაოდ წარმატებულადაც კი შეიძლება ჩანდეს და მონაწილეებმა გარკვეული თანხაც მიიღონ. თუმცა, დროის გარკვეულ მომენტში, როდესაც ახალი წევრებისა და დამატებითი სახსრების მოზიდვა შეუძლებელი ხდება, კომპანია ვეღარ ასრულებს მონაწილეების მიმართ არსებულ ვალდებულებებს და სქემა აუცილებლად იშლება. ასეთ დროს მონაწილეებს საკუთარი სახსრების გატანაზე ხშირად ტექნიკური მიზეზით ეუბნებიან უარს, ზოგჯერ კი ინვესტიციის დაბრუნების სანაცვლოდ დამატებით თანხასაც სთხოვენ.

**„მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მომხმარებლისთვის ცნობილია სქემის რისკიანობის შესახებ, ხშირად ისინი შეგნებულად ერთვებიან ამ სქემებში იმის იმედით, რომ მათ მიერ ინვესტირებული თანხის გამომუშავებას სქემის დაშლამდე შეძლებენ“,** – აღნიშნა **ლაშა გზირიშვილმა.**

მისივე შეფასებით, მსგავსი მიდგომა მაღალი რისკის შემცველია, რამდენადაც მონაწილემ არ იცის სქემის ფუნქციონირების რომელ ეტაპზე უერთდება მას, ხოლო დაშლის კონკრეტული მომენტის წინასწარ განჭვრეტა კი პრაქტიკულად შეუძლებელია. ამდენად, დიდია მომხმარებლების მიერ თანხის დაკარგვის რისკი. სებ-ის მომხმარებელთა დაცვის დეპარტამენტის უფროსის თქმით, მსგავსი სქემები დიდწილად მოგების სწრაფად მიღების სურვილს ეფუძნება, ამიტომ მნიშვნელოვანია, მიმზიდველი საინვესტიციო შემოთავაზების შემთხვევაში მომხმარებელმა არ მიიღოს სპონტანური გადაწყვეტილება, არამედ მოიძიოს დეტალური ინფორმაცია და გულდასმით აწონ-დაწონოს შესაძლო რისკები.

**„მოიძიეთ ინფორმაცია კომპანიის სანდოობისა და საქმიანობის, ასევე, მისი გადამხდელუნარიანობის შესახებ. ასეთი კომპანიები, მოქალაქეთა შეცდომაში შეყვანის მიზნით, შეიძლება ორგანიზაციის დასახელებაში იყენებდნენ ტერმინებს „საფინანსო“, „საბროკერო“, „საინვესტიციო“, და ა.შ. რაც ავტომატურად არ გულისხმობს, რომ ეს კომპანია არის შესაბამისი მარეგულირებელი ორგანოს მიერ რეგულირებული ან/და ლიცენზირებული სუბიექტი. მოიძიეთ ინფორმაცია სქემის მონაწილეების არამხოლოდ წარმატების, არამედ წარუმატებლობის ისტორიებისა და ამის მიზეზების შესახებ“,** – განაცხადა **ლაშა გზირიშვილმა.**

## ბათუმი ევროპაში სასურველი სამოგზაურო ქალაქების კატეგორიაში ნომინირებული

**პოპულარულმა ბრიტანულმა სამოგზაურო პლატფორმამ Wanderlust ბათუმი ევროპის ყველაზე სასურველი სამოგზაურო ქალაქების ნომინაციაში დაასახელა.**

Wanderlust Travel Awards-ის ყოველწლიური დაჯილდოების ცერემონიაზე ბათუმი ისეთ ცნობილ ევროპულ მიმართულებებთან ერთადაა ნომინირებული, როგორებიცაა **ბრიუსელი, პორტო, პრაღა, ბერლინი, მადრიდი, ვალენსია, ბუდაპეშტი, დუბლინი, ათენი, ბოლონია, სტამბოლი და ბორდო.**

ბათუმთან ერთად 2026 წლის Reader Travel Awards-



ზე ქვეყნების კატეგორიაში საქართველოა ნომინირებული. ნომინაციებისთვის ხმის მიცემა მსურველებს 27 ოქტომბრამდე Wanderlust-ის ვებ-გვერდზე https://www.wanderlustmagazine.com/about-us/our-awards/2026-reader-travel-awards-voting-form/ შეუძლიათ. გამარჯვებული ნოემბერში ლონდონში გამართულ Wanderlust Travel Awards-ის დაჯილდოების ცერემონიაზე გამოვლინდება.

**ბრიტანული სამოგზაურო გამოცემა Wanderlust საუკეთესო სამოგზაურო მიმართულებების გამოსავლენად კონკურსს ყოველწლიურად მართავს. ხმის მიცემის შედეგად კი სამოგზაურო გამოცემის მკითხველი მისთვის სასურველ ტურისტულ ქალაქებს, რეგიონებს, ქვეყნებსა და მიმართულებებს ასახელებს. Wanderlust-ის გამოკითხვაში მონაწილეებს შანსი აქვთ, 70 ათასი ბრიტანული გირვანქა სტერლინგის ღირებულების სპეციალური ტურები და პრიზები მოიგონ.**

## მაია ომიაძე: ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში არასოდეს ამდენი მოგზაური არ ჩამოსულა!

**ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის სამოქმედო გეგმის შესაბამისად, უწყების მთავარ მიზანს ბაზრების დივერსიფიკაცია წარმოადგენს, რისთვისაც ყოველწლიურად მრავალმხრივი აქტივობები ხორციელდება,** – ამის შესახებ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა **მაია ომიაძემ** განაცხადა.



მიზნობრივი მარკეტინგული კამპანიები და საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან მჭიდრო თანამშრომლობა ახალი ავიაკომპანიების მოზიდვას უზრუნველყოფს და ერთობლივი ძალისხმევა პირდაპირ აისახება ვიზიტორთა სტატისტიკაზე, სადაც ტოპათეულში ქვეყნების მრავალფეროვნება ფიქსირდება.

**„სწორედ ეს არის ის დივერსიფიცირებული ბაზარი და ის სტატისტიკური მონაცემები, რასაც რეალურად ტურიზმის ინდუსტრიიდან ვიღებთ. ჩვენს სტატისტიკურ ათეულში ხვდება ისეთი ქვეყნები ჩვენი ბაზრებიდან, როგორებიცაა ჩინეთი, ინდოეთი, ევროკავშირის ქვეყნები, გალფის ქვეყნები და, რა თქმა უნდა ისრაელი, მეზობელი ქვეყნებიც. ჩვენი სტრატეგიის თანახმად, ყოველწლიურად მათთან ვმუშაობთ იმისთვის, რომ ბევრად მეტი მოგზაური ჩამოვიდეს საქართველოში“,** – აღნიშნა **მაია ომიაძემ.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ამბობს, რომ სწორედ დაგეგმილმა დივერსიფიკაციის პოლიტიკამ განაპირობა ქვეყანაში მოგზაურთა ნაკადის სტაბილური ზრდა.

**„სწორედ დაგეგმილმა დივერსიფიკაციის მიზნით მომუშავე სამოქმედო გეგმამ უზრუნველყო, რომ წლიდან წლამდე საქართველოში მოგზაურთა რაოდენობა იზრდება. სტატისტიკური მონაცემის თანახმად, ევროკავშირის ქვეყნებიდან საქართველოში არასოდეს ამდენი მოგზაური არ ჩამოსულა, თუნდაც 2026 წლის პირველ კვარტალში და საერთო სტატისტიკაში მათი წილი 9,1%-ია“,** – აღნიშნა **ომიაძემ.**

## ჩხოროწყუში „ახალგაზრდული დღეები 2026“ დაიწყო

**გუშინ ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტში „ახალგაზრდული დღეები 2026“ დაიწყო,** – ინფორმაციას ჩხოროწყუს მერია ავრცელებს.



ღონისძიების ფარგლებში ბენდ „NonStop“-ის კონცერტი გაიმართა, ასევე ჩატარდა სხვადასხვა სპორტული და შემეცნებითი აქტივობა. დაჯილდოვდნენ მერის სტიპენდიანტები.

**ღონისძიებებს დაესწრნენ და საზეიმო ვითარებაში მუნიციპალიტეტის მერის სტიპენდიანტებს მერმა ჯუმბერ იზორიამ და საკრებულოს თავმჯდომარე ჯანო პერტაიამ, მოადგილეებთან ერთად, სერტიფიკატები გადასცეს.**

**ღონისძიებების პროგრამა 28 აგვისტოს ჩათვლით გაგრძელდება და მოიცავს სპორტულ, კულტურულ, საგანმანათლებლო, შემეცნებითა და გასართობ აქტივობებს. სხვადასხვა მიმართულებით გამოვლენილი გამარჯვებული გუნდები შესაბამისი პრიზებით დაჯილდოვდებიან.**

**ახალგაზრდული დღეები 2026 ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ორგანიზებით, მერიის ახალგაზრდული სათათბიროს ჩართულობით იმართება.**



## ზესტაფონში, სოფელ დიდ განთიადში, ახალი მინი საფეხბურთო მოედანი გაიხსნა

**ინფორმაციას ზესტაფონის მერია ავრცელებს. მათივე ცნობით, ახალი სპორტული სივრცე ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად მერმა ვახტანგ ღამბაშიძემ, საკრებულოს თავმჯდომარე მალხაზ შერგელაშვილსა და მერის მოადგილე ზაზა ხვედელიძესთან ერთად გახსნა.**

ღონისძიებას ასევე ესწრებოდნენ ადგილობრივი თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლები. ინფრასტრუქტურული პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის სრული დაფინანსებით განხორციელდა, რისთვისაც 121 999 ლარი გამოიყო.

**„მუნიციპალიტეტის მერია აქტიურად აგრძელებს სპორტული ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, როგორც ქალაქში, ისე ადმინისტრაციულ ერთეულებში, რათა თითოეული სოფლის მცხოვრებს ჰქონდეს წვდომა თანამედროვე და მოწესრიგებულ საზოგადოებრივ სივრცეებზე“** – აღნიშნა ზესტაფონის მერმა **ვახტანგ ღამბაშიძემ.**

# სიმართლეს ვერვინ დაემალება...



**გაქექილს გატეხილი სჯობიაო, გვასწავლის ქართული სიბრძნე. ხანგრძლივი ყოყმანის შემდეგ „ქართული ოცნების“ ხელისუფლებამ მოიკრიბა ძალა, დაძლია პოლიტიკური „სიმორცხვე“ და მთელი მსოფლიოს გასაგონად განაცხადა, რომ თითქმის ორნახევარი საუკუნის წინათ რუსეთის ფედერაციასთან გაფორმებულმა „გეორგიევსკის ტრაქტატმა“ პოზიტიური როლი შეასრულა საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ქართველი ერის იდენტობის შენარჩუნების საქმეში.**

# სიფრთხილე არ ნიშნავს სიმხდალეს

**მოგეხსენებათ, ისტორია ობიექტური მეცნიერებაა, ამიტომ ისტორიკოსებს არ შეეფერებათ ვარაუდებით მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, ასე რომ არ მომხდარიყო და მოვლენები სხვანაირად განვითარებულიყო, მაშინ ისე მოხდებოდაო!..**

**ხან ისე და ხან ასეთ, ისტორიას არ ეკადრება!**

როგორც ჰეროდოტეს „ისტორიაში“, ისე მისი თანამედროვე სოფოკლესა და ევრიპიდეს ნაშრომებში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ბედისწერაზე მსჯელობას, რომელსაც, მათი კომპეტენტური აზრით, ღმერთებიც კი ემორჩილებიან!

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ სხვა ობიექტურ ფაქტორებთან ერთობლიობაში, ისტორიული ბედისწერითაც უნდა ყოფილიყო განპირობებული „გეორგიევსკის ტრაქტატი“, რამაც მაშველი რგოლის ფუნქცია შეასრულა მღელვარე პოლიტიკურ ოკეანეში იალქნიანი პატარა ნავის მდგომარეობაში მყოფი საქართველოს გადასარჩენად.

**ნიკო ბერძენიშვილის ავტორიტეტული აზრით, მე-18 საუკუნის საქართველოს იდეურ-კულტურული ორიენტაცია ევროპისკენ იყო გამოკვეთილად მიმართული, რაც, ბუნებრივია, აღრმავებდა წინააღმდეგობას მაჰმადიანური სამყაროს ისეთ გავლენიან წარმომადგენლებთან, როგორებიც იყვნენ სპარსეთი და ოსმალეთი, – საქართველოს ისტორიული და დაუძინებელი მტრები. მდგომარეობას ართულებდა ისიც, რომ გარეშე მტრების მუდმივი შემოსევებისგან დასუსტებული ქვეყანა რამდენიმე სამეფოდ და სამთავროებად იყო დაყოფილ-დაქუცმაცებული, რაც საფუძველშივე გამორიცხავდა გაერთიანებული ძალებით კარგად ორგანიზებულ მტერთან ბრძოლის კოორდინაციის შესაძლებლობას.**

ფართო საზოგადოებაში მეტ-ნაკლებად ცნობილია ქართლ-კახეთის გაერთიანებული სამეფოს დიპლომატიური მისია საფრანგეთში და სულხან-საბა ორბელიანის შეხვედრები ლუი მეთოთხმეტესთან, მაგრამ ბრიტანეთის საცავებში აღმოჩენილი დოკუმენტების მიხედვით დასტურდება, რომ ერეკლე მეორის საგარეო უწყება ინტენსიურად მუშაობდა სხვადასხვა მიმართულებით. უფრო ადრეული პერიოდის აქტივობებს თავი რომ დავანებოთ, 1781 წელს ქართლ-კახეთის ელჩიონი ეწვია რომის იმპერატორს საგანგებო წერილით, რომელიც იწყებოდა მაღალფარდოვანი მიმართვით „განათლებულთა მაგათ დიდსა ვენეციის ქალაქსა შორის შემძლებელთა შეკრებულთა“, თუმცა, მოლოდინის საწინააღმდეგოდ, ამ სასოწარკვეთილ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

**იმათ გასაწბილებლად, ვისაც აკვიატებულად სჭერა ერეკლე მეორის რუსული ორიენტაცია, შეგვიძლია, დავიმოწმოთ მეორე შემთხვევა, როცა 1782 წელს პატრი მაურო ეწვია ვენეციის სენატს საგანგებო წერილით, რომელშიც ქართლ-კახეთის სახელოვანი მეფე ითხოვდა ფინანსურ დახმარებას ქართული ჯარის ევროპულ ყაიდაზე აღჭურვის მიზნით: „და რომ მტერი ამ ჯარის რიგს საბოლოოდ სცნავს, ვერასოდეს მტრობას ვეღარ გაბედავსო“.**

ჩვენ მხოლოდ ვარაუდის გამოთქმა შეგვიძლია იმასთან დაკავშირებით, რა სჯა-ბაასი გაიმართა პატრი მაუროსა და ვენეციის სენატის პასუხისმგებელ წევრებს შორის, მაგრამ ერეკლე მეორის სამეფო კარს ქართული ჯარის ევროპულ ყაიდაზე აღჭურვისთვის საჭირო ფულადი დახმარება რომ მიეღო 1782 წელს, ერთი წლის შემდეგ „გეორგიევსკის ტრაქტატის“ აუცილებლობა არ დადგებოდა დღის წესრიგში!

კონტინენტური ევროპის სახელმწიფოთა მონარქებისგან განსხვავებით, ინგლისის მთავრობას არაერთგზის გამოუთქვამს მზადყოფნა საქართველოში სამხედრო ინსტრუქტორების გამოგზავნისთან დაკავშირებით, მაგრამ, დაუდგენელი მიზეზით, სიტყვას საქმე არ მოჰყოლია და მაღალკვალიფიციური სამხედრო ინსტრუქტორები ნისლიანი ალბიონიდან მზიურ საქართველოში არ ჩამოსულან!



შამილი

**მე-18 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში სპარსეთ-ოსმალეთის გამუდმებული შემოსევებითა და ქართველის ნაბიჭვარი შამილის მიერ წაქეზებული ლეკების თარეშით იავარქმნილი ჩვენი სანუკვარი სამშობლო იყო იმ მდგომარეობაში, რომელიც პუშკინს მეტაფორულად აქვს აღწერილი ერთ ლექსში: „НА ХОЛМАХ ГРУЗИИ ЛЕЖИТ НОЧНАЯ МГЛА“**

მრავალჭირნახული ერეკლე მეორისთვის ძნელი მისახვედრი არ იქნებოდა, რომ გავლენიანი მოკავშირის გარეშე დარჩენა საქართველოს სახელმწიფოებრიობის მოშლას მოასწავებდა, ამიტომ გონების თვალი მიაპყრო იმ მხარეს, საიდანაც დადებითი იმპულსები მოდიოდა.

ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით საკმაოდ მომძლავრებულ რუსეთის იმპერიას, რომელსაც მზარდი ინტერესები ჰქონდა კავკასიაში, ჟანგბადივით სჭირდებოდა საქართველო, როგორც გეოსტრატეგიული რეგიონის ცენტრი, ხოლო საქართველოსთვის სასიცოცხლო აუცილებლობას წარმოადგენდა გავლენიანი მოკავშირე, ვისაც ანგარიშს გაუწევდა სპარსეთ-ოსმალეთი!

გაცილებით ადრე, ვიდრე ქართლ-კახეთის სამეფოს რუსული ორიენტაცია მკაფიოდ გამოიკვეთებოდა, არასახარბიელო პერსპექტივით შეშფოთებულმა ოსმალეთის სულთანმა სცადა ერეკლე მეფესთან საერთო ენის გამონახვა, ინგლისელი პარტნიორების მონაწილეობით, კერძოდ, ოსმალეთის მხარე ვალდებულებას კისრულობდა, ერეკლე მეფისთვის დაეთმო მთელი დასავლეთ საქართველო, რომლის გამგებლობა 1555 წლის ამასიის ზავით ჰქონდა მინიჭებული, თუკი ქართლ-კახეთის სამეფო უარს იტყოდა რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმებაზე, რასაც სერიოზულად განიხილავდნენ სამეფო კარზე.

ოსმალეთის მიმართ ნეგატიური დამოკიდებულების მიუხედავად, შეუძლებელი იყო, ამ მაცდუნებელ შემოთავაზებას ერეკლე მეორის უახლოესი გარემოცვის დაინტერესება არ გამოეწვია, მაგრამ არც რუსეთის საგარეო უწყებაში ისხდნენ იდიოტები, რომლებმაც სასწრაფო წესით დაიწყეს დეზინფორმაციის გავრცელება ქართლ-კახეთის მეფის ორპირობასა და მერყეობასთან დაკავშირებით.

**ისტორიკოს სვიმონ მასხარაშვილის კვლევის მიხედვით, იმპერატრიცა ეკატერინე მეორის ფავორიტმა, პოლიტიკური ინტრიგების დიდოსტატმა გრიგორი პოტიომკინ-**



გრიგორი პოტიომკინი

**მა აამოქმედა აგენტურა და გაავრცელა ჭორი, თითქოს რუსეთში ემიგრირებული ბატონიშვილი ალექსანდრე ბაგრატიონი, იმერეთის მეფე სოლომონთან შეთანხმებითა და ირან-დაღესტნის ხელშეწყობით, სამოქალაქო ომის პროვოცირებას აპირებდა ერეკლე მეორის დამხობისა და ქართლში გამეფების მიზნით.**

სოლომონ პირველის ფიცი-მტკიცის მიუხედავად, რენეგატ ალექსანდრე ბაგრატიონს ცოცხალი თავით არ მივემხრობიო, გაიძვერა პოტიომკინის ინტრიგამ გაჭრა და გამუდმებული ღალატის გამო ეჭვებით შეპყრობილი მეფე იძულებული გახდა, ცუდსა და უარესს შორის გაეკეთებინა არჩევანი – ან მეფის რუსეთთან მფარველობითი ხელშეკრულების გაფორმების ან სამოქალაქო ომი, რაც საბედისწერო შედეგების მომტანი იქნებოდა ისედაც დანაწევრებული და მრავალრიცხოვანი მტრის გარემოცვაში მყოფი საქართველოსთვის.

ცნობისთვის: იმ თაღლით გრიგორი პოტიომკინზეა საუბარი, რომელიც ბუტაფორულ სოფლებს აშენებდა, კეთილდღეობის ილუზიას ქმნიდა და ხორბლის ნაცვლად, ქვიშით სავსე ტომრებს აჩვენებდა იმპერატრიცას, კრემენჩუნგში სტუმრობისას!

ასე იყო თუ ისე, ავად იყო თუ კარგად, ორმხრივმა დაინტერესებამ შედეგი გამოიღო და „გეორგიევსკის ტრაქტატის“ ამოქმედებით ახალი ერა დაიწყო რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში.

**ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტების მიხედვით, ქართლ-კახეთის სამეფო შედიოდა რუსეთის მფარველობაში**

# „დრო, დრო აღნიშნე“!

საქართველოს რესპუბლიკა

**და რუსეთი იღებდა ვალდებულებას, არ ჩარეულიყო ქართლ-კახეთის სამეფოს შინაურ საქმეებში. ამასთან ერთად, სამეფო ტახტი მემკვიდრეობით უმტკიცდებოდა ბაგრატიონთა სამეფო დინასტიას, ოღონდ იმ დათქმით, რომ ტახტზე ასვლისას, მომავალ მეფეს რუსეთის იმპერატორისგან უნდა მიეღო სამეფო ნიშნები: გვირგვინი, დროშა და სიგელი... განსაკუთრებით საყურადღებოა ის ფაქტი, რომ რუსეთი ვალდებულებას იღებდა, ეზრუნა საქართველოს კუთვნილი, მაგრამ, თანამედროვე ტერმინოლოგიით თუ ვიტყვით, დროებით მიტაცებული ტერიტორიების დასაბრუნებლად, რასაც უდიდესი პოლიტიკური და მორალური მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მხარისთვის.**

გარეგნული მიმზიდველობის მიუხედავად, ტრაქტატში გაწერილი იყო პუნქტები, რომელთა ამოქმედება ხელყოფდა სახელმწიფოებრივ სუვერენიტეტს და აკნინებდა საქართველოს როლს საერთაშორისო ასპარეზზე. ტრაქტატის მიხედვით, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი რუსეთის საეკლესიო სინოდის არასრულუფლებიანი წევრი ხდებოდა, რაც იძლეოდა საპატრიარქო ინსტიტუტის გაუქმების შესაძლებლობას.

დიპლომატიურ წრეებში გავრცელებული გამოთქმა რომ გამოვიყენოთ, ეშმაკი დეტალებშია, დეტალები კი, უმეტეს შემთხვევაში, ჯეროვანი ყურადღების მიღმა რჩება საერთაშორისო ურთიერთობებში, მით უფრო მაშინ, როცა ფორსმაჟორში უწევთ გადაწყვეტილების მიღება შეზღუდული პოლიტიკური შესაძლებლობების მქონე პირებს.

მიუხედავად იმისა, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატმა“ 1787 წელს შეწყვიტა მოქმედება, რუსეთის იმპერატორმა გაუგონარი მკრეხელობა ჩაიდინა, 24 წლის წინათ ანულირებული ხელშეკრულების მე-8 არტიკულით ისარგებლა და 1811 წელს საქართველოს სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია თვითნებურად გააუქმა, თუმცა, ესეც არ იკმარა და ეკლესია-მონასტრებში მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის ჩატარება აგვიკრძალა!

უთუოდ ასეთი მზაკვრობის გამოძახილი უნდა იყოს აკაკი წერეთლის შეფარული ირონიის მიზეზი, ერთ გონებამახვილურ ლექსში რომ აქვს გამოთქმული;

**„აკრძალავ წირვა-ლოცვის დროს**
**მათ ენას მამა პაპურსო**
**და მივსცემ სამაგიეროდ**
**ჩვენს მეტყველებას დათვურსო“**

**დასკვნის სახით შეიძლება დაბეჯითებით განვაცხადოთ, რომ რუსეთმა მოიპოვა, როგორც დიპლომატიური, ისე სამხედრო გამარჯვება, რადგან საერთაშორისო საზოგადოებაში გაიმყარა მცირე ერის ინტერესების დამცველის იმიჯი, ტყვიის გასროლის გარეშე გადმოლახა კავკასიონის მთაგრეხილი და დაიკავა უმნიშვნელოვანესი პლაცდარმი, გავლენიანი კონკურენტის – ოსმალეთის სიახლოვეს.**

სხვათაშორის, ისტორიული ბედისწერით თუ თანამედროვე რუსეთის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ბედოვლათობით, იგივე გააკეთა თურქეთმა 2025 წელს, როცა 100-წლიანი წყვეტის შემდეგ, დაიკავა დომინანტური პოზიცია სამხრეთ კავკასიაში, რაც წინგადადგმული ნაბიჯია ე.წ. დიდი თურანის აღდგენის გზაზე!

ორმხრივ სარგებელზე როცა ვლაპარაკობთ, მხედველობაში გვაქვს ის გარემოება, რომ, არაერთი ხარვეზის მიუხედავად, „გეორგიევსკის ტრაქტატმა“ პოზიტიური როლი შეასრულა არა მხოლოდ ქართლ-კახეთის სამეფოს, არამედ მთლიანად საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და ქართველი ერის ფიზიკური გადარჩენის საქმეში.

საზოგადოების ერთ ნაწილში გავრცელებულია აზრი იმის შესახებ, თითქოს ერეკლე მეორის მრჩეველი და თანამოაზრე სოლომონ ლიონიძე რუსეთთან სამოკავშირეო ხელშეკრულების გაფორმების წინააღმდეგი ყოფილიყოს, რაც ყოველგვარ საფუძველს არის მოკლებული და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტური ფანტაზიით უნდა იყოს შთაგონებული.

სინამდვილეში, ლიონიძე, რომელიც პირადად მონაწილეობდა „გეორგიევსკის ტრაქტატის“ მომზადებაში, არა რუსეთთან სამოკავში-



ალექსანდრე 1

რეო ხელშეკრულების გაფორმების, არამედ რუსეთის მიერ საქართველოს მიერთების წინააღმდეგი იყო და ამიტომაც უერთგულა ბოლომდე სვებამწარებულ მეფეს.

შეგვიძლია, გავიხსენოთ 1798 წლის ზამთარში მეფის ცხედართან ლიონიძის მიერ წარმოთქმული გამოსათხოვარი სიტყვა „მოთქმით ტირილი საქართველოს მეფის ღირკულეს ნეტარისა ღირსისა“, რაც გულწრფელი მეგობრობის დემონსტრირებად უნდა მივიჩნიოთ!

სინამდვილეში, ერეკლე მეფის პოლიტიკური ოპონენტი იყო არა სოლომონ ლიონიძე, არამედ გიორგი ერისთავის ვაჟი დავითი, ცნობილი დრამატურგი – დაგვამხო და დაგვაქცია, აღარაფერი ქართული აღარ დაგვრჩა საქართველოშიო!

პოლიტიკური თაღლითობისა და დიპლომატიური ფარისევლობის ნიმუშია იმპერატორ ალექსანდრე პირველის 1801 წლის მანიფესტი, საქართველოს მიერთებასთან დაკავშირებით:

**„არა ძალთა შემატებისთვის, არა ანგარებისთვის, არა მსოფლიოში ისედაც უდიდესი იმპერიის გაფართოებისთვის ვღებულობთ ჩვენ საქართველოს სამეფოს მმართველობის ტვირთს, არამედ მხოლოდ ღირსება, პატიოსნება და ადამიანობა გვიკარნახებს ჩვენ საღმრთო მოვალეობას, რათა ყური მივაპყროთ ტანჯულთა ვედრებას და მათი გლოვის გასაქარვებლად დავამყაროთ საქართველოში ისეთი მმართველობა, რომელსაც შეეძლება, განამტკიცოს მართლმსაჯულება, უზრუნველყოს პირადი და ქონებრივი უშიშროება და პიროვნების კანონიერი დაცვა“**

თუ როგორი „ჰარმონიული“ მმართველობა დაამყარეს საქართველოში რუსეთის იმპერატორებმა, ამის საილუსტრაციოდ შეგვიძლია დავიმოწმოთ გრიგოლ ორბელიანის წერილი გენერალ ნიკო ჭავჭავაძისადმი, რომელიც 1881 წლის 7 აგვისტოთ არის დათარიღებული: „ოთხმოცი წლის შემდეგაც ხომ ვნახეთ, რაც ბრძანდებიან ღუბერნატორები და ვიგემეთ მათი მამობრივი მზრუნველობა ჩვენზე...

„ქართულს ენას აღარ ასწავლიან ღიმნაზიაში და აღარცა სემინარიაში“.

ასევე საგულისხმოა გრიგოლ ორბელიანისა და გენერალ ივანე აფხაზის დიამეტრალურად განსხვავებული დამოკიდებულება რუსეთის ფაქტორთან დაკავშირებით.

**ღმერთო, ნუ მიიყვან რუსთა ესერთსა განწყობილებასა შინა, რომელი იძულებული იყვნენ დატევებად საქართველოსაო, ცას შეჰღაღადებს ივანე აფხაზი, რასაც არ ეთანხმება ორბელიანი: „საქართველო, შემდგომად რუსთაგან დატევებისა, ვგონებ იყოს ესრეთ ძლიერი, რომელ შეიძლოს დაცვა მტერთაგან საზღვრისა თვისისა“**

ერთი შეხედვით, ძნელად წარმოსადგენია, ასეთ სითამამეს რომ იჩენს რუსეთის იმპერატორის სამსახურში მყოფი სამხედრო მაღალჩინოსანი, მაგრამ გრიგოლ ორბელიანს საკუთარი პოზიცია პოეტური შემოქმედებითაც აქვს გამყარებული:

**„წინაპართ სისხლი აწ ჩვენს შორის**
**არღა მდინარებს,**
**თავისუფლება განქრა ჩვენთვის,**
**რაღა გვახარებს!**
**შორით მოსული ჩემს მამულში**
**მყვედრის ცხოვრებას,**
**მოყვრულად გვმტრობს, გვტაცებს**
**ყოველს, გვიქმს ალერსობას“**

მეფის რუსეთში პოპულარობით რომ არ სარგებლობდნენ ქართველები, შეგვიძლია დავიმოწმოთ ლევ ტოლსტოის თანამეცხედრე სოფია ანდრეევნა, რომელსაც ნინო ნაკაშიძესთან საუბარში დაუფარავად უთქვამს, მინდა იცოდეთ, ძვირფასო მეგობარო, რომ რუსებს ქართველები არ გვიყვარსო. ასეთ ქსენოფობიურ დამოკიდებულებას უნდა მივაწეროთ ის ფაქტი, რომ ლევ ტოლსტოიმ კატეგორიული უარით გაისტუმრა უფროსი ვაჟი ანდრეი, რომელსაც ქართველი ქალის ცოლად მოყვანა ჰქონდა განზრახული, მაგრამ იძულებული გახდა, მამის ნებას დამორჩილებოდა!

თუმცა, რაღა ეთნიკური რუსების ანტაგონისტურ დამოკიდებულებაზე ვლაპარაკობთ, როცა მშობლიური ერისადმი პათოლოგიური სიძულვილით გამოირჩეოდა რუსეთის იმპერატორის მიერ საქართველოს მთავარმართებლად დანიშნული, გადაგვარებული ქართველი ციციანოვი (პავლე დიმიტრის ძე ციციშვილი), რომელიც ისედაც ქართველთმოძულე ალექსანდრე პირველისადმი გაგზავნილ ოფიციალურ უსტარში წერდა:



პავლე ციციანოვი

**სანამ ასპიტების ეს მოდგმა, ბაგრატიონთა დინასტია, საქართველოში იქნებიან, მანამდე ქართველებს ვერ დავიმორჩილებთო და კატეგორიულად მოითხოვა მათი რუსეთში გასახლება, რასაც მიაღწია კიდეც 1802-1805 წლებში!**

სამართლიანობა მოითხოვს, ითქვას, რომ იმპერატორისადმი უსაზღვრო ერთგულებისა და კოლონიალისტური პოლიტიკის განუხრელად გატარების მიუხედავად, ქართველი ერისადმი კეთილგანწყობით ხასიათდებოდა პირველი მეფისნაცვალი საქართველოში მიხეილ ვორონცოვი, რომლის სახელთან არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებაა დაკავშირებული. იმპერატორ ნიკოლოზ პირველისადმი გაგზავნილ შეტყობინებაში ვორონცოვი წერდა: „ყოველი ახალი საქმე, რომელიც ცვლის საუკუნოვან ადათებს, მეტისმეტად ძნელი გასატარებელია ყველგან, განსაკუთრებით აქაურ მხარეში, ამიტომ უნდა ვიმოქმედოთ დიდი სიფრთხილით. ძალადობრივი ზომები არათუ არ მოიტანენ სიკეთეს, პირიქით, შეუძლიათ ჰქონდეთ ძალიან ცუდი შედეგები“.

მიუხედავად იმისა, რომ ნიკოლოზ პირველის მიმართ უარყოფითი დამოკიდებულებაა საქართველოში ქაიხოსრო ორბელიანის უმანკო ასულთან გარყვნილი ქმედებების გამო, უნდა გავიხსენოთ უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა, რომელმაც „გეორგიევსკის ტრაქტატით“ ნაკისრი ვალდებულების შესრულებაში ჰპოვა გამოხატულება. კერძოდ, ირანთან ძლევამოსილი გამარჯვების შემდეგ, 1828 წლის 14 აპრილს ნიკოლოზ პირველმა ომი ოსმალეთს გამოუცხადა, რომელშიც ქართველებიც მონაწილეობდნენ. იმავე წლის 23 ივნისს გაერთიანებულმა ჯარმა უძველესი ქართული ქალაქი კარი, შემდეგ კი ახალქალაქი აიღეს და ახალციხესაც შეუტიეს, სადაც მუსლიმი ჯაყელები იყვნენ გამაგრებული. როგორც მოსალოდნელი იყო, რუსულმა ხიშტმა ამჯერადაც დაჯაბნა თურქული იატაგანი და გამარჯვებულმა ქართველებმა ძირძველი ტერიტორიები დაიბრუნეს!

სწორედ ასეთი და ამის მსგავსი ერთობლივი საბრძოლო ეპიზოდები აძლევდა ერეკლე მეორეს მოტივაციას, მუქარის წერილი მიეწერა აღა-მაჰმად ხანისათვის, რომელიც მწევარივით იყო დაგეშილი საქართველოს ასაოხრებლად: „და ვაცნობებთაცა მპყრობელთა როსიისათა, რომელნიც ერთ სარწმუნოებითა და მეზობლობითისა მშვიდობითა ჩვენთანა შეკრულ არიან და არა თავს იდებენ თქვენ მიერ ბოროტისა ყოფასა ჩვენ ზედა“!

როცა რუსეთის იმპერატორმა ერეკლე მეორის თხოვნას წაუყრუა და ერთგული მოკავშირე განსაცდელში არაერთხელ მიატოვა, გულფიცხმა პატარა კახმა ჩრდილოელი მეზობელი შეიძულა და უკიდურესი პროტესტის ნიშნად, ქართულ ზარაფხანაში მოჭრილ რუსულ მონეტაზე თავმოწყვეტილი არწივი ამოატვიფრინა!

გურამ გეგეშიძის რომანში „ხმა მღაღადებლისა“, არის მრავლისმეტყველი ეპიზოდი, თუ როგორი თავგანწირვით დაიცავს ღირსებას რაინდული სულის მქონე ოფიცერი ნესტორ ზედგენიძე.

„პოლკოვნიკი ადგილიდან წამოიჭრა, სკამი ხმაურით გასწია და მხედრული ნაბიჯით გამოემართა ჩოხოსანი ქართველებისკენ.

– შესწყვეტთ თუ არა, თქვენს ძაღლურ ენაზე ყბედობას? – დაიქუხა მან და ისედაც წვრილი თვალები კიდევ უფრო დაუწვრილდა და დაუსისხლიანდა.

ნესტორი უსიტყვოდ წამოდგა, იმავ წამს ჰაერში პრიალა სატევარმა იელვა და პოლკოვნიკის მოსხეპილი თავი გორაკის წვეროდან დაგორებული ქვასავით გადმოგორდა და როგორც მარგილს, ისე დაესო მაგიდაზე შამპანურის ბოთლს“.

* * *

**მიმდინარე წლის 20 აგვისტოს, პრომეთეს მღვიმეში ყოფნისას, ჩემ გვერდით მდგომმა საშუალო ასაკის ქალბატონმა უხეში რეპლიკით გააპროტესტა ის, რომ გიდი, ქართულსა და ინგლისურთან ერთად, უნაკლო რუსულით აწვდიდა ინფორმაციას ვიზიტორებს. მიუხედავად იმისა, რომ ამ მდაბიო საქციელს აყალმაყალი არ გამოუწვევია, მაინც გამახსენდა ის ავყია რუსი პოლკოვნიკი, რომელსაც ნესტორ ზედგინიძემ თავი წააცალა, მშობლიური ენის აუგად მოხსენიების გამო.**

უფროსი თაობის ქართველებს ბევრი რამ გვაქვს გასახსენებელი საბჭოთა ეპოქიდან, კარგიც და ნაკლებად სასიამოვნოც, გვახსოვს 1989 წლის 9 აპრილი, შეუხორცებელ ჭრილობად გვექცა საქართველოს ოაზისად წოდებული აფხაზეთი და ცხინვალის რეგიონი, მაგრამ ეს არ გვაძლევს უფლებას, შეურაცხმყოფელი ლექსიკით მოვიხსენიოთ რუსი ერი!

ადამიანი შეიძლება ათეისტი იყო, ღმერთის არსებობის არ გწამდეს, მაგრამ არც ეს გაძლევს უფლებას, სხვისი რელიგიური გრძნობები შეურაცხყო და მართლმადიდებლური სარწმუნო-



მერაბ მამარდაშვილი

ება რუსულ აზროვნებას დაუკავშირო, როგორც ეს მსოფლიო დონის ფილოსოფოსმა მერაბ მამარდაშვილმა გააკეთა – რუსულმა აზროვნებამ და მართლმადიდებლურმა სარწმუნოებამ ჩვენ უფსკრულში გადაგვჩეხაო!

ადამიანს საქციელს რომ დაუწუნებ, იქვე უნდა უთხრა, რომელი გზა იქნებოდა სწორი და მართებულიო, ეუბნება მაგალი ზარანდია კოსტას, დათა თუთაშხიასადმი გამოთქმული საყვედურების გამო. ქრისტიანული მორალი გვავალდებულებს, მოვთოკოთ ემოციები, გამოვიჩინოთ სიფრთხილე და გავაცნობიეროთ, რომ სიფრთხილე არ ნიშნავს სიმხდალეს!

ერეკლე მეორეს კრიტიკოსები არც სიცოცხლეში დაკლებია და არც თანამედროვე საქართველოში აკლია, მაგრამ ყველაზე ობიექტური მგონია აკაკის შეფასება, რომელსაც მიკერძოებას ვერავინ დააბრალებს:

**„პატარა კახო, გმირთ-გმირო,**
**ქვეყნად მეუფის სახეო,**
**სულით მაღალო,**
**მაღალთა**
**მეფეთა მეინახეო!“**



**თეიმურაზ ჯანელიძე.**

**წყალტუბო-ჩუნეში**



# ფესვებს მივხედოთ, ძმობის ფესვებს, აფხაზებო და ოსებო!

## ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების თანაცხოვრების ისტორიიდან

**ოცდაათ წელზე მეტი გავიდა ჩვენი დაპირისპირების დაწყებიდან. წამოვიდა ახალი თაობები,რომლებმაც უკვე სრულიად არაფერი იციან ჩვენი წინაპრების ერთმანეთის გვერდში დგომაზე, ჭირისა და ლხინის გაზიარების, გათავისების თაობაზე, ჩვენს ერთობლივ დიდ ისტორიაზე, არაფერი იციან ჩვენი გამოჩენილი მოღვაწეების, ჩვენი კულტურის შესახებ. ჩვენ ერთმანეთს კი არ უნდა დავშორდეთ, არამედ კიდევ უფრო მეტად უნდა დავუახლოვდეთ.**

**რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო მოგებული დარჩება ჩვენი ხალხები. უნდა გამოვტყდე ამ წერილზე მუშაობის დაწყებისას ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ოსი ხალხის უპირველესი პოეტი კოსტა ხეთაგუროვი ასეთი დიდი შემოქმედი და ყოველმხრივ შემკული პიროვნება იყო. როდესაც მის შემოქმედებას გავეცანი, ჩემს წინ წარმოსდგა თავისი ქვეყნის დიდი მოჭირნახულე ადამიანი, დიდი პოეტი, მხატვარი, შესანიშნავი პუბლიცისტი, მოკლედ დიდი კლასიკოსი, რამაც ოსი ხალხის მიმართ კიდევ უფრო მეტი პატივისცემით განმაწყო.**

ერთი პერიოდი, როდესაც ვნებათა ღელვა მიწყნარდა, განახლდა მიმოსვლა ცხინვალსა და თბილისს შორის, დაინიშნა ავტობუსები, მატარებელმა მიმოსვლაც დაიწყო. ცხინვალის შესასვლელში მდებარე ქართულ სოფელ ერგნეთში კი დიდი ბაზრობა გაიხსნა. რუსეთიდან შემოსულ საქონელს აქ შედარებით იაფად იძენდნენ ოსებისაგან საქართველოს ყველა ქალაქიდან და რაიონიდან ჩამოსული ქართველები პირადი მოხმარებისა და უფრო მეტად შემდგომი გასაღებისათვის. გაჭირვებაში ჩავარდნილი ადამიანებისათვის ეს დიდი შეღავათი იყო. ოსებიც, თავის მხრივ, ქართველებისაგან იძენდნენ საჭირო ნივთებს. ხშირად როდესაც ქართველები მათთვის საჭირო საქონლის შეძენას ვეღარ ასწრებდნენ, ცხინვალში რჩებოდნენ ღამის გასათევად ძველ ნაცნობებთან ან ახალგაცნობილ ოსებთან. ცხინვალსა და მიმდებარე სოფლებიდან განდევნილმა ქართველმა მოსახლეობამაც დაიწყო თავისი სახლკარის მიხედვა, დროგამოშვებით ჩადიოდნენ იქ და მიწასაც ამუშავებდნენ. ხალხმა უკვე დაიწყო დაახლოება, ერთმანეთს შორის ნდობის აღდგენა, ურთიერთობის დამყარება. მაგრამ შემდეგში ნაციონალი ჩინოვნიკების ბრძანებით, ერგნეთის ბაზრობა დახურეს – ბაზრობა კორუფციის ბუდედ გადაიქცა და მავანი და მავანი ამაზე ხელს ითბობსო. შეიძლება ითქვას, ეს იყო ძალიან დიდი, გამოუსწორებელი შეცდომა, რადგან ქვეყნის ინტერესი, თუნდაც ათჯერ მეტი კორუფციაც ყოფილიყო, ბაზრის დახურვას კი არა, მის გაფართოებას მოითხოვდა. აქ ხალხი ერთმანეთს ხვდებოდა, საერთო ენას პოულობდა, ერთმანეთის მიმართ პატივისცემით იმსჭვალებოდა და თანდათანობით ძველი ურთიერთობების აღდგენა ხდებოდა. ამიტომ, უკეთეს შემთხვევაში კორუფციასთან სხვა გზებითა და ხერხებით უნდა გვებრძოლა. გარკვეულწილად სწორედ ქართველებსა და ოსებს შორის დაწყებულმა ურთიერთობის აღდგენამ პოლიტიკური პროცესების სასიკეთოდ მობრუნება გამოიწვია, რასაც შემდგომი განვითარება აღარ მიეცა.

დღეს ქართველებსა და ოსებს შორის ურთიერთობა მეტად დაძაბულია, ამჟამად გაცილებით ძნელია ჩვენს შორის ნორმალური კეთილმეზობლური დამოკიდებულების აღდგენა, ვიდრე ეს რამდენიმე წლის წინათ შეიძლებოდა. ცოცხალი არიან ადამიანები, რომლებმაც უახლოესი ნათესავები დაკარგეს, რომლებსაც ღირსება შეულახეს, დაუნგრიეს მთლიანად მამაპაპეული სახლ-კარი და ლტოლვილად აქციეს. ასეთები კი ათეულ ათასობით ადამიანია, უმეტესად ქართველები, ოსები და სხვა ხალხის შვილებიც. მაგრამ სამუდამო მტრობას, მით უმეტეს მეზობლებთან, კაცობრიობის ისტორია არ იცნობს.

**გოლოს და გოლოს, ქართველები და ოსები ტრადიციულ მეგობრობას დაუბრუნდებიან. რაც უფრო მალე მოხდება ეს, მით უფრო უკეთესია ჩვენი მომავალი ცხოვრებისთვის, ჩვენი მომავალი თაობებისთვის. საჭიროა, საღი გონებით შევხედოთ მოვლენებსა და ფაქტებს, მოვერიოთ საკუთარ თავს და ავმაღლდეთ საკუთარ თავზე. ძმობის გარდა სხვა გზა არ არსებობს.**

ომი საქართველოში არავის უნდა, არც ქართველს და არც ოსს. ჩვენი ერთად ცხოვრების საკმაო ხნის მანძილზე, როგორც ცნობილი მწერალი **რევაზ ჯაფარიძე** აღნიშნავდა,

**„ქართველებსა და ოსებს შორის, ისევე როგორც საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ სხვა ეროვნებებს შორის, ეროვნულ ნიადაგზე არც ერთი გაუგებრობა და უკმაყოფილება არ ჩამოვარდნილა, ქალაქადაც და სოფლადაც ქართველები და ოსები შერეულად ცხოვრობდნენ, ერთ ენაზე ლაპარაკობდნენ, ჭირიც ერთი ჰქონდათ და ლხინიც. ამყარებდნენ ნათესაურ ურთიერთობებს და ერთმანეთზე უფრო საყვარელი არც არავინ ჰყავდათ. ეს კეთილი ურთიერთობა დღესაც განუხრელად**

**გრძელდება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, სადაც ასი ათასზე მეტი ოსი ეროვნების მოქალაქე ცხოვრობს, ეს იმდენივეა, რამდენიც ყოფილი ავტონომიური ოლქის მოსახლეობა.“**

ქართველებისა და ოსების ძმობისა და მეგობრობის ფურცლები საუკუნეებს ითვლის. „ქართლის ცხოვრებისა“ და სხვა საისტორიო წყაროების მიხედვით მათ შორის ურთიერთდახმარებისა და დინასტიური ქორწინებების უამრავი ფაქტია შემონახული. ამან ხელი შეუწყო ქართველებსა და ოსებს შორის პოლიტიკური კავშირების განმტკიცებას, კულტურის განვითარებას.

„ქართლის ცხოვრებაში“ მემატიანე ჯერ კიდევ ფარნავაზის ქართლში გამეფებამდე (ფარნავაზი მეფობდა ძველი წელთაღრიცხვის IV საუკუნის მიწურულსა და III საუკუნის პირველ ნახევარში) მოგვითხრობს სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლაზე, რომლის დროს ქართველებმა ოსებიც დაიხმარეს. ეს არის პირველი ცნობა საერთოდ ჩრდილოეთ კავკასიაში ლაშქრის დაქირავების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ქართველები ჩრდილოეთ კავკასიაში მცხოვრებ ტომებს შორის ყველაზე ხშირად ოსებს ენდობოდნენ. ამ ბრძოლაში, როგორც XI საუკუნის ისტორიკოსი ლეონტი მროველი გადმოგვცემს, მათ სპარსელები სასტიკად დაამარცხეს: „გარდამოიყვანეს ოვსნი, და პოვეს ერისთავი სპარსთაი... და მოკლეს იგი. და რომელი პოვეს სპარსი ყოველი მოსწყვიდეს ოვსთა და ქართველთა“. შემდეგში ოსები და ლეკები ქართლის გამგებლის აზოს წინააღმდეგ საბრძოლველად გადმოჰყავს ქართლის პირველ მეფეს ფარნავაზს, რომელმაც დახმარებისთვის ეგრისის მმართველს (ერისთავს) ქუჯის მიმართა. მათ მიიმხრეს ოსები და ლეკები და დაამარცხეს აზო, რომელიც ამ ბრძოლას შეეწირა.

„ქართლის ცხოვრებაში“ არა ერთი და ორი ადგილი გვხვდება ქართველთა და ოსთა მეგობრობაზე, როდესაც ისინი ყოველთვის ერთად ჰკირთებდნენ (უტევდნენ) მტერს. ქართლის გაქრისტიანებამდე, აზორკისა და არმაზელის მეფობის დროს, ოსები „გარდამოვიდეს ქართლად, დაემეგობრნენ ქართველთა... და მარადის ესრეთ ჰკირთებდეს ქართველნი და ოსნი“. ამავე პერიოდში მემატიანე კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ქართველებისა და ოსების მეგობრობას: „იქმნნეს მოყუარე სომეხნი და ქართველნი და ოვსნი, და სამნივე ერთობით ჰბრძოდეს მტერთა“.

ოსეთთან ურთიერთობების განმტკიცების მიზნით ხშირია ამ ქვეყნების მმართველ წრეებს შორის დინასტიური ქორწინებები. პირველი დინასტიური ქორწინება, რომელიც ჩვენთვის ცნობილია, მოხდა ფარნავაზის მეფობის დროს. ფარნავაზმა ბერძნებთან ბრძოლაში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, რომელშიც ოსებიც მონაწილეობდნენ, ოსთა მეფეს თავისი და მიათხოვა – „მაშინ ფარნავაზ მისცა და მისი ოვსთა მეფესა ცოლად“. დინასტიური ქორწინებები განსაკუთრებით გახშირდა მე-11 საუკუნიდან. ბაგრატი IV-ეს ცოლად ჰგავდა ოსის ქალი ბორენა, გიორგი I-ის მეორე მეუღლე იყო ალდე, ხოლო გიორგი III-ის მეუღლე – ბურდუხანი.

ამასთან, თამარ მეფის პირველი ისტორიკოსის ცნობით დავით აღმაშენებლის ერთ-ერთი ქალიშვილი ოსეთში იყო გათხოვილი.

ქართველი მემატიანე განსაკუთრებული სიყვარულით მოიხსენიებს გიორგი III-ის ცოლს, თამარ მეფის დედას ბურდუხანს – ასეთი კეთილი რძალი, ქართლის თემს მაშინ არ ჰყოლიაო. მემატიანის სიტყვებით ბურდუხანი „ჰმატებდა სიკეთესა დედათასა სვათა ყოველითა, გარნა თამარის დედობითა, რძალი სხვა მისებრი მაშინ, არა ეხილვა ქართლისა თემსა, და შემდგომითი – შემდგომად აქონ.

**თავსმოხვეულმა ომებმა თავზარი დასცა ჭეშმარიტ ქართველებს, აფხაზებსა და ოსებს. ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ეს ომები ანადგურებდა ქართველი, აფხაზი და ოსი ხალხების საუკუნოებით ერთად ცხოვრების შედეგად ჩამოყალიბებულ მათი ცხოვრების წესს, მეგობრობას, ჭირისა და ლხინის გათავისებას, ურთიერთპატივისცემას, მათ საკმაოდ მჭიდრო სისხლისმიერ ნათესაობას.**

ომების დროს და შემდეგაც ბევრი დაიწერა იმის შესახებ, თუ როგორ ზრუნავდნენ ქართველები, აფხაზები და ოსები ერთმანეთის გადასარჩენად; ომის მძიმე დღეებში, ბევრმა აფხაზმა და ოსმა შეიფარა ქართველი და ამით იხსნა მათი სიცოცხლე უცხოელი გადამთიელებისგან. ამ მხრივ სამაგალითოა 18 წლის აფხაზი გოგონას დღიური, რომელიც იწერებოდა ომის მძიმე დღეებში და თანაბრად განეკუთვნება როგორც ქართველ ხალხს, ისე აფხაზებს და, შეიძლება ითქვას, ოსებსაც.

გაგრძელება, დასაწყისი იხილეთ „სრ“ №113-114

# ოი, ღმერთო! გემუდარები და გევედრები 18 წლის აფხაზი ქალიშვილი, შენ შეიბრალე და შეიწყნარე ქართველი და აფხაზი ერი, მოსპე ეშმაკი, რომელიც თესავს მათ შორის შუღლსა და სიძულვილს.



ქართველი ქალის მიერ აღზრდილი აფხაზი გოგონა სულით ხორცამდეა შეძრული ტრაგიკული ძმათამკვლელი ომით. იგი გვესაუბრება იმის შესახებ, რომ არ შეიძლება განუდგე შენს რწმენას, შენს ხორცსა და სისხლს, თუ ჭეშმარიტი ადამიანი ხარ.

ეს ფრიად ადამიანური დოკუმენტი შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო. იგი რწმენას გვინერგავს, რომ ჩვენი ხალხების მომავალი უერთმანეთოდ ბედნიერი ვერ იქნება. მოგვყავს აფხაზი გოგონას „დღიური" შემოკლებით.

„შურა – დედა და ჩემი მშობელი დედა ერთად გაზრდილან. გათხოვებაც ერთ კუთხეში გადაუწყვეტიათ. მე და ჩემი ძუძუმტე ნიკო ერთ კვირაში დავიბადეთ. ერთი თვისაც არ ვყოფილვარ, როცა უფალმა წამართვა დედაც და მამაც. მე და ჩემი უფროსი ძმა თემური დავრჩით ობლად. მამა შახტების აფეთქებაში მოყვა, დედა მანქანით დაიღუპა, ბიძებს წაუყვანივართ გასაზრდელად. მე და ნიკოს დედა შურას კერდი და-ძმურად გაგვიყვია, რომ წამოვიზარდეთ, ბიძებს ბევრჯერ უცდიათ ჩემი გადაყვანა, მაგრამ მე იმდენად ვყოფილვარ შეზრდილი ნიკოს და თამუნას (ნიკოს და – **ა. თ.**), რომ ვერავინ შეძლო მოეწყვიტა ჩემი გული ამ ოჯახისთვის. ქართულ სკოლაშიც მათი სიყვარულით მოვხვდი. კიდევ ათი წლის შემდეგ კი უკვე ჩემით დავიწყე სიარული მათთან და ჩემი სისხლის სითბო და სიტკბო დღითი-დღე იგრძნობოდა და იზრდებოდა ჩემს ცხოვრებაში. მალე შევამჩნიე, რომ მეამაყებოდა ჩემი ეროვნება, მომწონდა ჩვენი ერის სიდინჯე და თავდაჭერა, ახალგაზრდებისაგან უფროსების პატივისცემა, მაგრამ მიხაროდა, რომ მე ვითვლებოდი როგორც საქართველოს მოქალაქე, ისე აფხაზ ქალიშვილად, და არ ვფიქრობდი არასოდეს, რომ დღევანდელი დღე მოესწრებოდა ჩემს საამაყო კუთხეს. თვრამეტი წელი ისე გავიდა ჩემი ძიძის ოჯახში, ერთი სიტყვაც არ მახსოვს ეთქვათ რამე დამცირება აფხაზების მიმართ, პირიქით, ყოველთვის აქებდნენ და ადიდებდნენ ამ ერს...

როგორც იქნა, მოვნახე დრო, გამეცნო თქვენთვის ჩემი ვარამი. მე უკვე აღარ ვარ ქართველის ოჯახში. დაუნდობელმა სისხლისღვრამ დამიკარგა ყველა, არ ვიცი, ცოცხალი არიან თუ არა...

თამუნა და დედა შურა დღეს დავიტირე. ნაცნობმა მითხრა მათი დაღუპვის შესახებ. ოო! ღმერთო, შენ შემინახე თემური და ნიკო მშვიდობით, რომ ჩემს ცხოვრებას აზრი ჰქონდეს... ჯიშამოწყვეტილი გადამთიელების ყოველ ღამინდელი სიმღერები მიკლავენ გულს. აუტანელ ზიზღს მგვრის მათი ხარბი და დაჟინებული მზერა ჩვენს დაძონძილ ხალათის მკერდთა საკინძეებზე...

დღე იყო ძალზე შემზარავი. ამ დღეს დაიმარხა 18 აფხაზი მეომარი და ვერტმფრენით გაიგზავნა 13 გადამთიელის ცხედარი. მათ გამგზავრებამდის დაიხვრიტა გადამთიელებისგან 15 ქართველი ტყვე, მათ შორის ერთი სვანი ვაჟკაცი, რომელიც სილამაზით ძაან ჰგავდა ნიკოს, ჩემი მუდარით და ბიძაჩემის ავტორიტეტით იქნა გადარჩენილი. მე მუხლმოყრილი ვეხვეწე ბიძაჩემს, არ დაეხვრიტათ ეს მზესავით ვაჟკაცი. ის გამოიყვანეს ხელშეკრული. ჯინსის შარვალი ეცვა და შიშველ მკერდზე ხუჭუჭა თმა ჰქონდა, ფართო მხრები და მშვიდი სახე ისე შვენოდა, ასეთი მშვენების მოსპობას გარდა მხეცისა ვინ შეძლებს ნეტა. ის გამოდიოდა მშვიდად, თითქოს დასახვრეტად კი არა, ნადიმზე ეპატიჟებიანო, მან გარშემო მიმოიხედა, თითქოს ნაცნობს ეძებსო და მზერა ჩემზე შეაჩერა. მომეჩვენა, შველას ჩემგან ელოდა. გადამთიელებმა მის თვალწინ დახვრიტეს 14 ქართველი. ამ დროს ცას შეჰყურებდა, თვალს არიდებდა სანახაობას. დახვრეტილებში ისეთი ახალგაზრდები ერივნენ, რომ მთელი ღამე თვალი არ მომიხუჭავს. საცხა გულის სიღრმეში მიხაროდა, რომ ერთი მაინც გადავარჩინე, სულ თვალწინ მიდგას მისი მშვიდი მზერა, ჩემთან რომ შეაჩერა. ვიცი, რომ მისი გადარჩენის მიზეზიც სწორედ ეს იყო. ამ მზერამ გააბედვინა ჩემს გულს, მეთხოვა მისი გადარჩენა. ნეტავ მომცეს ღმერთმა ის ძალა, ვუშველო და დავუბრუნო ეს გულუშიშარი ვაჟკაცი ოჯახს.

თემურზე და ნიკოზე კვლავ არაფერი ვიცი, ვერ გამიბედნია, საკუთარი გულისთვის მათზე ცუდი მეფიქრა. ოო! ღმერთო, შენ დაიფარე ისინი ყოველგვარი უბედურებისაგან ჩემს საზრუნავს დღეს კიდო ერთი საზრუნავი დაემატა. შტაბში მოიყვანეს 8-9 თვის ბავშვი ქართველის ოჯახიდან. მშობლები და ახლობლები ომის ქარცეცხლს უმსხვერპლია. უფროსებმა ახალგაზრდა ქალებს შესთავაზეს ბავშვის დედობა, ყველამ უარი განაცხადა, ჩვენ ჩვენი გვიჭირსო. ბავშვი მთელი ძალით გაჰკიოდა, ითხოვდა დედას და საჭმელს. ზოგი ქალი ტიროდა მისი ცოდვით, ახლოს კი არ ეკარებოდა იმის შიშით, ბოლომდე არ დამრჩესო მოსავლელად. ყველამ გაკვირვებით შემომხედა, როცა თვრამეტი წლის გამოუცდელმა ქალიშვილმა ბავშვი გულში ჩავიხუტე. ბიძამაც შავი დღე დამაყარა, მაგრამ მე ჩემი არ მოვიშალე.

უკვე ღამის 3 საათია, პატარა ნიკოს მშვიდად სძინავს. მე კი ისევ ვლოცულობ: ღმერთო, შენ მანახე ცოცხალი ჩემი ძმა ნიკო და თემური, შენ დაუბრუნე თავის ოჯახს უცნობი ტყვე სვანი ვაჟკაცი და მომე იმდენი ძალა, გამოვზარდო ჩემი პატარა ნიკო, როგორც გამზარდა მე ცხონებულმა დედა-შურამ...

პატარა ნიკოს მომავალმა ბიძაჩემიც შეაფიქრიანა, დღე-ღამე იმას ჩამჩიჩინებს, გადავფრინდე ვერტმფრენით ნათესავებთან ადლერში, მაგრამ მტკიცე უარზე ვარ, სულ იმის შიშში ვარ, იქნებ ნიკო მოიყვანონ ტყვედ. ამის შიშით ვერ გადამიწყვეტია წასვლა...

დილიდან წვიმიანი ამინდი იდგა. მთელი დღე გასაფრენად ვემზადებოდი. ბავშვი დავაძინე და მოსაღამოვდა კიდეც, ლოცვა რომ მოვამთავრე, ნიკოს მივუწექი, რომ მის ალერსში ჩემი თავი დამვიწყებოდა. ტანზე არ გამიხდია, რადაგან თემურს ველოდებოდი... კარზე ფრთხილი კაკუნი მომესმა. ფეხაკრეფით გავაღე კარი. თემურს უკან ორი ვინმე დავლანდე, ოო! ღმერთო, დაილოცოს განგება შენი! ბედნიერი ვარ შენი წყალობით, ჩემს სიხარულს საზღვარი არ გააჩნია, დღეს ჩემს გვერდით არიან ჩემი ნიკო და თამუნა. ჩემი თემური და პატარა ნიკო.

დედა-შურას სიკვდილი მართალი გამოდგა, მამის შესახებ კი არაფერი იცოდნენ. სანამ ნიკოსა და თამუნას ჩემს პატარა ნიკოს ვაცნობდი, თემურიმ ბიძისაგან ერთი სიხარული კიდევ მოიტანა. ხვალ ადლერში ყველა ერთად გავფრინდებით, ხუთივე და ვიცხოვრებდით ხიზნულთათვის განაყოფ ბინებში, სანამ ომის ქარიშხალი არ ჩადგებოდა.

გვიან ღამე დავწერე ეს ყოველივე. უკვე ყველას სძინავს ჩემს გარდა. მე ძილი არ მეკარება, ბედნიერებამ გამომაფხიზლა, ღმერთო, მადროვე და არ წამართვა ეს ბედნიერება. თემურისა და ნიკოს ერთმანეთს ჩახუტებული სძინავთ თემურის საწოლზე. ასეთი ჩახუტებული მანახე ჩემი საქართველო და აფხაზეთი.

ოი, ღმერთო! გემუდარები და გევედრები 18 წლის აფხაზი ქალიშვილი, შენ შეიბრალე და შეიწყნარე ქართველი და აფხაზი ერი, მოსპე ეშმაკი, რომელიც თესავს მათ შორის შუღლსა და სიძულვილს. დაუბრუნე ხალხს ის ნდობა და სიყვარული, რაც საუკუნეების მანძილზე უტარებიათ. აპოვნინე ორთავე მხარეს იმდენი გონიერება, რომ გამოიცნონ ნამდვილი მტერი და მოყვარე. ქართველის სისხლით მოსვრილია დღეს აფხაზი მეომრის ულვაში და აფხაზის სისხლით ფერს იკარგავს ქართველთ სინდისი.

ოი! ღმერთო ჩემო! შენ გამიზარდე მე ჩემი ნიკო, შენ დამიტოვე ნიკო ცოცხალი, შენ შემინახე ჩემი თემური, სოსო, ვარლამი, თეონა, ნონა, მადონა, შალვა, ბიძინა, ლელა, ილონა და სხვა მრავალი. შენ დაიფარე დაღუპვისაგან საქართველო და მზე-აფხაზეთი!

გამოჩნდა ვერტმფრენიც. ხალხს აჩქარება დაეტყო. აწი ადლერში გავაგრძელებ".

* * *

**დღიურის გაგრძელება აფხაზ გოგონას აღარ დასცალდა. ამდენი უბედურების შემდეგ თემურის, ნიკოს და თამუნას ნახვით გამოწვეული უსაზღვრო ბედნიერება მეტად ხანმოკლე აღმოჩნდა. ვერტმფრენმა კატასტროფა განიცადა და კატასტროფის ადგილზე, სოფელ საკენში დღიური სვანმა გოგონამ ნანა სიდიანმა იპოვა.**

ეს საოცარი დღიური, რომლის გაცნობამ არ შეიძლება თავით ტერფამდე არ შეძრას ადამიანი, ქართველი და აფხაზი ხალხების სიყვარგულის, ურთიერთთანადგომის დიდებული ჰიმნია, რომელსაც ვერც ვერაფერს გამოაკლებ და ვერც ვერაფერს დაუმატებ. **გასაკვირი ის არის, რომ ამდენ და ასეთ სიყვარულს როგორ უძლებდა და ატარებდა უმანკო, 18 წლის გოგონა, როგორ შეეძლო მას ამდენი სიკეთის გაცემა. დაიკარგა უდავოდ კიდევ ერთი ხალასი ნიჭი. მართლაც, სადა გყავს აფხაზო, ოსო და ქართველო შვილი დასაკარგავი!.**



**ანზორ თოთაძე,**
პროფესორი.

(გაგრძელება იქნება)

# გურჯაანში რთველის საკოორდინაციო შტაბი გაიხსნა

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი დავით სონღულაშვილი ქალაქ გურჯაანში რთველის საკოორდინაციო შტაბის მუშაობას გაეცნო. შტაბი რთველის პერიოდში პროცესის კოორდინაციას, მევენახეებისა და ღვინის მწარმოებლებისთვის შესაბამისი ინფორმაციის მიწოდებას და რთველთან დაკავშირებული საკითხების ოპერატიულად გადაწყვეტას უზრუნველყოფს. შტაბი 24-საათიან რეჟიმში იმუშავებს.**

**დავით სონღულაშვილმა** მევენახეობა-მეღვინეობის დარგის განვითარების, ყურძნის ხარისხის გაუმჯობესებისა და ხარისხის მიხედვით დიფერენცირებული ფასების პოლიტიკის მნიშვნელობაზე გაამახვილა ყურადღება.



გურჯაანში, რთველის საკოორდინაციო შტაბში გამართულ შეხვედრას ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე და რთველის საკოორდინაციო შტაბის უფროსი **ლევან მეხუზლა,** კახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებული **პლატონ კალმახელიძე,** პარლამენტის წევრები და კახეთის მუნიციპალიტეტების მერები დაესწრნენ.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ჭარბი მოსავლის შემთხვევაში, ყველა მევენახეს შესაძლებლობა ექნება, მოახდინოს ყურძნის რეალიზაცია და მოსავალი დაუბინავებელი არ დარჩეს. ამ მიზნით, შპს „მოსავლის მართვის კომპანია" კახეთის რეგიონში მოწეულ ყურძენს ფიზიკური პირებისგან დადგენილი ფასებით ჩაიბარებს.

**კერძოდ, კონდიციური და დაუზიანებელი საფერავის, რომლის შაქრიანობა არანაკლებ 21%-ია, ფასი 1,50 ლარით განისაზღვრება, ხოლო არაკონდიციური საფერავის შემთხვევაში, რომლის შაქრიანობა 17%-დან 21%-მდეა ან/და ყურძენი ნაწილობრივ დაზიანებულია, ფასი 0,90 ლარი იქნება. 17%-ზე ნაკლები შაქრიანობის ან/და დაზიანებული საფერავის ფასი 0,30 ლარით განისაზღვრება.**

**„ვაზისა და ღვინის შესახებ" საქართველოს კანონით ნებადართული ვაზის ჯიშებისგან მოწეული სხვა ყურძნის შემთხვევაში, შაქრიანობის არანაკლებ 20%-ის მქონე და დაუზიანებელი ყურძნის ფასი 1,30 ლარი იქნება, 17%-დან 20%-მდე შაქრიანობის შემთხვევაში 0.80 ლარი, ხოლო 17%-ზე ნაკლები შაქრიანობის შემთხვევაში 0.30 ლარი.**

**რთველთან დაკავშირებული ინფორმაციის მიღება შესაძლებელია ცხელი ხაზის ნომრებზე: 1501 და 032 2 219 37 18.**

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო**



# ეკა ზღულაძის ქმარი და მიჯას შნირი გახდება საფრანგეთის პრეზიდენტი?!



## THE TELEGRAPH: საბჭოთა ჯაშუშის შვილიშვილი საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატად იყრის კენჭს

**საბჭოთა ჯაშუშის შვილიშვილს საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატად წარდგენის სურვილი აქვს,** – წერს ყოველდღიური ბრიტანული გამოცემა THE TELEGRAPH.

**რაფაელ გლუკსმანი** იმედოვნებს, რომ რადიკალ მემარცხენე **ჟან-ლუკ მელანშონს** დაუპირისპირდება და ელისეს სასახლისთვის ბრძოლაში მემარცხენე კანდიდატის წამყვანი კანდიდატი გახდება.

ულტრამემარჯვენე „ეროვნული გაერთიანების“ ლიდერი **მარინ ლე პენი** არჩევნების პირველი ტურის შემდეგ გამოკითხვებში მუდმივად ლიდერობს.

საზოგადოებრივი გამოკითხვების თანახმად, პოლიტიკური ცენტრისა და მემარცხენეების პოტენციურ მეტოქეს მეორე ტურში მისი დამარცხება გაუჭირდება.

**„დიახ, მე საპრეზიდენტო არჩევნებში კანდიდატი ვარ“** – განუცხადა ბატონმა **გლუკსმანმა** ფრანგულ ტელეარხ TF1-ს. **„ნამდვილად ვაპირებთ ჩვენი ქვეყნის ულტრამემარჯვენეებს გადაცემას? ასეთი არჩევანის წინაშე დგომისას, განზე ვერ გავდგებოდი“**

ბატონი გლუკსმანი, პროევროპელი ევროპარლამენტარი, რომელიც 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნებში მთავარ მემარცხენე ალიანსს ხელმძღვანელობდა და ხმების 14 პროცენტი მოიპოვა, პარიზის ელიტის მდიდარი და გავლენიანი წევრია.

მისი ბაბუა, **რუბინ გლუკსმანი,** 1920-იან წლებში პალესტინაში ემიგრაციაში წავიდა, რის შემდეგაც კომუნისტი გახდა და კომინტერნმა დაიქირავა, ორგანიზაციამ, რომელიც ბოლშევიზმის მთელ მსოფლიოში გასავრცელებლად შეიქმნა.

**ის საბჭოთა ჯაშუშად მუშაობდა საფრანგეთში, გერმანიასა და გაერთიანებულ სამეფოში, სადაც ბიზნესმენად ასაღებდა თავს.**

ბატონი გლუკსმანი სწავლობდა Sciences Po-ში, პარიზის უმაღლეს სასწავლებელში, რომელიც მომავალ ლიდერებს ამზადებს, სანამ ჟურნალისტისა და დოკუმენტური ფილმების რეჟისორის კარიერას გააგრძელებდა.

გამოკითხვებში ის ბატონ მელანშონს ჩამორჩება და მთავარი კითხვა ის არის, შეძლებს თუ არა ის – ან სხვა პოტენციური ცენტრისტული მემარცხენე კანდიდატი ზომიერი მემარცხენეების გაერთიანებას.

**„მემარცხენეებს შეუძლიათ საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვება, თუ ისინი მტკიცედ დაიცავენ თავიანთ პრინციპებს“** – თქვა ბატონმა **გლუკსმანმა. „ჩვენ არ უნდა გვეშინოდეს მელანშონის“**

მისი კანდიდატურა მაშინ წარადგინეს, როდესაც საფრანგეთის პოლიტიკური კლასი ზაფხულის არდადეგებიდან ბრუნდება და 2027 წლის აპრილსა და მაისში დაგეგმილი არჩევნების წინ, სავარაუდოდ, უაღრესად პოლარიზებული საპრეზიდენტო რბოლისთვის ემზადება.

ბატონი **მაკრონის** ზოგიერთი პრობიზნეს პოლიტიკის კრიტიკისას, ბატონი გლუკსმანი იცავს მსგავს პროევროპულ და პროუკრაინულ პოზიციას და თავს ლიბერალური დემოკრატიის მტკიცე დამცველად წარმოაჩენს.

თუმცა, ყურადღების ცენტრში მხოლოდ მისი პოლიტიკური შეხედულებები არ მოექცა.

მისი ურთიერთობა France 2-ის მთავარი საღამოს საინფორმაციო პროგრამის წამყვან ლეა სალამესთან მედიის მუდმივი ყურადღების წყარო გახდა, გაზეთები კი მათ საფრანგეთის ერთ-ერთ ყველაზე გავლენიან წყვილად მოიხსენიებენ.

ამ ზაფხულს, წყვილის ფოტოები კორსიკას სანაპიროზე გამოჩნდა ჟურნალ Paris Match-ში, ცნობილ გამოცემაში, რომელიც ათწლეულების განმავლობაში საპრეზიდენტო კანდიდატების სასტარტო პლატფორმას წარმოადგენდა.

ფრანგული მედია იუწყება, რომ სალამე საპრეზიდენტო კამპანიის დროს სახელმწიფო ტელევიზიის არხზე წამყვანის მოვალეობას დატოვებს, რათა ინტერესთა კონფლიქტის ეჭვი თავიდან აიცილოს“

**შეგახსენებთ, რომ რაფაელ გლუკსმანი 2009-2012 წლებში პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მრჩეველი იყო და დღემდე მის მხურვალე მხარდამჭერად რჩება. იმავე წლებში იგი ქორწინებაში იმყოფებოდა შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილესთან ეკატერინე ზღულაძესთან.**

**გლუკსმანმა 2025 წლის 16 მარტს, მოძრაობა Place Publique-ის ყრილობაზე, შეერთებულ შტატებს ფრანგებისთვის თავისუფლების ქანდაკების დაბრუნებისკენ მოუწოდა. თეთრი სახლის პრესმდივანმა კეროლაინ ლევიტმა ამ განცხადებაზე საუბრისას გლუკსმანს „უსახელო, დაბალი დონის ფრანგი პოლიტიკოსი“ უწოდა.**

# პუტინს უპირობო ცეცხლის შეწყვეტისკენ მოუწოდებენ

## გაეროს წევრი 50-ზე მეტი ქვეყანა, მათ შორის საქართველო, რუსეთს უკრაინაში ცეცხლის სრული, დაუყოვნებლივი და უპირობო შეწყვეტისკენ მოუწოდებს

**განცხადება** დანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა **ლარს ლოკე რასმუსენმა** გაავრცელა.

**„მსურს, წავიკითხო განცხადება ალბანეთის, ანდორის, ავსტრალიის, ავსტრიის, ბელგიის, ბოსნიისა და ჰერცეგოვინის, ბულგარეთის, კანადის, კოსტა რიკის, ხორვატიის, კვიპროსის, ჩეხეთის, დანიის, ესტონეთის, ფინეთის, საფრანგეთის, საქართველოს, გერმანიის, საბერძნეთის, ჰონდურასის, უნგრეთის, ისლანდიის, ირლანდიის, იტალიის, იაპონიის, ლატვიის, ლიხტენშტაინის, ლიეტუვის, ლუქსემბურგის, მალტის, მონაკოს, მონტენეგროს, ნიდერლანდების, ახალი ზელანდიის, ჩრდილოეთ მაკედონიის, ნორვეგიის, პანამის, პოლონეთის, პორტუგალიის, სამხრეთ კორეის, მოლდოვის რესპუბლიკის, რუმინეთის, სან-მარინოს, სლოვაკეთის, სლოვენიის, ესპანეთის, შვედეთის, შვეიცარიის, უკრაინის, გაერთიანებული სამეფოსა და ევროკავშირის დელეგაციის სახელით. 24 აგვისტოს უკრაინა დამოუკიდებლობის დღეს აღნიშნავს „35 წელი შესრულდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს ყოფილი საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა გამოაცხადა. ეს იყო უკრაინელი ხალხის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომელიც საერთაშორისო საზოგადოებამ, მათ შორის რუსეთმა, აღიარა. თუმცა, ზეიმის დღის ნაცვლად, დღეს ასევე ოთხწელიწად-ნახევარი სრულდება რუსეთის მიერ უკრაინაში უკანონო, სრულმასშტაბიანი სამხედრო შეჭრის დაწყებიდან „გაეროს წესდებისა და საერთაშორისო სამართლის ფუნდამენტური პრინციპების აშკარა და მიმდინარე დარღვევიდან.**

**რუსეთის შეჭრამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგის საფუძვლები და შეარყია როგორც რეგიონული, ისე გლობალური მშვიდობა და უსაფრთხოება. რუსეთის უკრაინაში შეჭრის შედეგად ასობით ათასი ქალი, კაცი და ბავშვი დაიღუპა ან დაშავდა. მშვიდობიან მოსახლეობაში მსხვერპლის რაოდენობა მკვეთრად გაიზარდა, რადგან თავდასხმები გახშირდა. გასულ თვეში გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლესი კომისრის ოფისმა, მხოლოდ მის მიერ აღრიცხული მონაცემებით, 2022 წლის მარტის შემდეგ, ერთ თვეში, მშვიდობიანი მოსახლეობის**



**დაღუპვისა და დაშავების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დააფიქსირა „დაიღუპა, სულ მცირე, 437 უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქე. ამას ემატება ის ფაქტი, რომ რუსეთის სრულმასშტაბიანი შეჭრის დაწყებიდან, სულ მცირე, 68 000 უკრაინელი მშვიდობიანი მოქალაქე, მათ შორის თითქმის 4 000 ბავშვი, დაიღუპა ან დაშავდა.**

**მშვიდობიანი მოსახლეობა დაცულია როგორც საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის, ისე ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის საფუძველზე. ჩვენ მკაცრად ვგმობთ თითოეულ ასეთ თავდასხმას. ეს ახლავე უნდა დასრულდეს. ჩვენ ასევე ხაზს ვუსვამთ სამხედრო ტყვეების გაცვლის დასრულების, უკანონოდ დაკავებული ყველა პირის გათავისუფლებისა და ყველა მშვიდობიანი მოქალაქის უსაფრთხო დაბრუნების გადაუდებელ აუცილებლობას, მათ შორის იმ ათასობით უკრაინელი ბავშვის, რომლებიც იძულებით გადაიყვანეს. ეს აუცილებელი ჰუმანიტარული ნაბიჯები და მორალური ვალდებულებაა.**

**ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს ურყევ ვალდებულებას, უზრუნველვყოთ საერთაშორისო სამართლის დარღვევით ჩადენილი დანაშაულებისთვის სრული პასუხისმგებლობა. მსხვერპლთათვის სამართლიანობა უნდა იყოს უზრუნველყოფილი, მათ შორის იმისთვის, რომ მომავალში მთელ მსოფლიოში მსგავსი სისასტიკეები თავიდან ავიცილოთ.**

**ომის შედეგები უკრაინის ფარგლებს გარეთაც იგრძნობა. ევროპის რამდენიმე პარტნიორმა არაერთი საჰაერო სივრცის დარღვევა და დრონებთან დაკავშირებული ინციდენტი განიცადა, რაც სახიფათო და მიუღებელია. ეს ინციდენტები ზრდის არასწორი გათვლისა და შემდგომი ესკალაციის რისკს და ამით ყველაფერი არ მთავრდება. უფრო ფართო საერთაშორისო საზოგადოებაც გრძნობს ამ ომის გავლენას. შავ ზღვაში მარცვლეულის გადაზიდვებსა და უკრაინის საპორტო ინფრასტრუქტურაზე რუსეთი თავდასხმებს ახორციელებს, რის გამოც ოპერაციები შეფერხებულია. ამას უდიდესი შედეგები აქვს მთელი მსოფლიოსთვის და გავლენას ახდენს გლობალურ სასურსათო უსაფრთხოებაზე. შეიძლება, ეს უაზრო ომი და მის შედეგად გამოწვეული უზარმაზარი ადამიანური ტანჯვა დაუყოვნებლივ დასრულდეს. რუსეთმა უბრალოდ უნდა მიიღოს ცეცხლის უპირობო შეწყვეტა, რომლისკენაც უკრაინა და საერთაშორისო საზოგადოება მას, უკვე წელიწად-ნახევარზე მეტია, მოუწოდებენ. უკრაინას მშვიდობა სურს. ჩვენ მშვიდობა გვინდა.**

**კატეგორიულად მოვუწოდებთ რუსეთს, უპასუხოს ცეცხლის სრულ, დაუყოვნებლივ და უპირობო შეწყვეტისკენ მოწოდებებს და განაახლოს მოლაპარაკებები უკრაინაში ყოვლისმომცველი, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის მისაღწევად, საერთაშორისო სამართლის, მათ შორის გაეროს წესდების შესაბამისად. ჩვენ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ჩვენს მტკიცე მხარდაჭერას უკრაინის სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ, მის საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში. ამ განსაკუთრებულ დღეს, უკრაინის დამოუკიდებლობის დღეს, ჩვენ გავაგრძელებთ უკრაინის მტკიცე მხარდაჭერას. გაეროს წესდების შესაბამისად, სამართლიანი და ხანგრძლივი მშვიდობის ალტერნატივა არ არსებობს“!**

საქართველოს რესპუბლიკა

# ყველაზე უცნაური ციხე, სადაც პატიმრები ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრობენ



**ამ ციხეში პატიმრები ოჯახის წევრებთან ერთად ცხოვრობენ და ამ ციხიდან პატიმრების ცოლები ყოველდღე – სამსახურში, ბავშვები კი სკოლაში დადიან.**

**ბოლივიის დედაქალაქის ლა პასის ცენტრში 12-მეტრიანი კედელია აღმართული, რომელიც სან პედროს ციხეს აკრავს - ის ბოლივიის ღირსშესანიშნაობა და მსოფლიოს ყველაზე უცნაური ციხეა, სადაც 1500 პატიმარი ცოლთან და შვილებთან ერთად ცხოვრობს.**

ციხის შიგნით დახურული ქალაქია, რომელსაც თავისი ბაზარი, მაღაზიები, რესტორანი, საცურაო აუზი, სილამაზის სალონები, ფეხბურთის მოედანი, კაფეები და საკნები აქვს. **თუ პატიმარი სტანდარტულ საკანში თავს მოუხერხებლად გრძნობს, შეუძლია 1500 დოლარად მდიდრულ საკანში გადავიდეს, რომელსაც საკუთარი სამზარეულო, სააბაზანო, საკაბელო ტელევიზია და ჯაკუზი ექნება. სან პედროს ციხე დახურულ ქალაქს წააგავს, თუმცა ჩვეულებრივ ქალაქთან შედარებით, აქ საცხოვრებელი პირობები ძალიან მკაცრია.**

ციხის ტერიტორიაზე დაახლოებით 300 ბავშვია. პატიმრების ოჯახის წევრები ყოველ დილით ქალაქში სამუშაოდ და სასწავლებლად მიდიან, საღამოს კი ციხეში ბრუნდებიან. პატიმრები ციხის ტერიტორიაზე მდებარე მაღაზიებში, სასადილოებში, კაფეებში და რესტორანში მუშაობენ.

**ციხე დაყოფილია შვიდ კვარტლად, ცენტრში კი ეკლესიაა. ამ ციხეში სასჯელს პოლიტიკური ან ნარკოდანაშაულისთვის იხდიან. ნარკობარონების საკნებში არის სამზარეული, საკაბელო ტელევიზია და ჯაკუზიც კი. ასეთ საკნებში ცხოვრება თვეში 1500 დოლარამდე ღირს, რაც უბრალო პატიმრისთვის წარმოუდგენელი ფუფუნებაა. 2009 წლამდე ტურისტებს ციხეში შესვლა შეეძლოთ. მათთვის ციხის ტერიტორიაზე სასტუმროც კი მოეწყო და სწორედ ტურისტების წყალობით შეიტყო მსოფლიომ ამ უცნაური ადგილის შესახებ. დღეს ციხის კარი უცხო პირებისთვის დაკეტილია. ტურისტებს მხოლოდ ტერიტორიის ნაწილის ნახვა შეუძლიათ.**







# სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი და მისი ვაჟი

# კორუფციაში ამხილეს!

**სომხეთის ყოფილი პრეზიდენტი რობერტ ქოჩარიანი და მისი ვაჟი სედრაკ ქოჩარიანი ანტიკორუფციული კომიტეტის მიერ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დააკავეს.**

სომხური მედიის ცნობით, დაკავებამდე ქვეყნის ანტიკორუფციულმა კომიტეტმა **რობერტ ქოჩარიანისა** და მისი ოჯახის წევრების კუთვნილ რამდენიმე ათეულ მისამართზე ჩხრეკა და სხვა საგამოძიებო მოქმედებები ჩაატარა.

**რობერტ ქოჩარიანის** ოფისის ხელმძღვანელის **ბაგრატ მიქოიანის** განცხადებით, სომხეთის მეორე პრეზიდენტი ანტიკორუფციულ კომიტეტში გადაიყვანეს. ასევე გავრცელდა ინფორმაცია, რომ სამართალდამცველები **რობერტ ქოჩარიანის** ვაჟების □**ლევონ** და **სედრაკ ქოჩარიანების** საცხოვრებელ ბინებში შევიდნენ.

**ამ ეტაპზე სომხეთის ანტიკორუფციულ კომიტეტს ბრალდებების შესახებ დამატებითი დეტალები არ გაუვრცელებია.**

# ევროპის ზღვები გლობალურ საშუალო მაჩვენებელზე სწრაფად თბება!

**ევროპის გარშემო მდებარე ზღვები გლობალურ საშუალო მაჩვენებელზე ბევრად სწრაფად თბება. კვლევითი ორგანიზაცია World Weather Attribution-ის მიერ აგვისტოს შუა რიცხვებში გამოქვეყნებული ანგარიშის თანახმად, ეს პროცესი ეკოსისტემებზე, სურსათის უსაფრთხოებასა და სანაპირო ზოლში მცხოვრებ მოსახლეობაზე უარყოფითად მოქმედებს. მეცნიერების განცხადებით, ევროპის აკვატორიაში ზღვის ზედაპირის რეკორდულად მაღალი ტემპერატურა კლიმატის გლობალურ ცვლილებას პირდაპირ უკავშირდება.**




**ზაფხულის განმავლობაში საზღვაო სითბური ტალღები ირლანდიიდან ხმელთაშუა ზღვამდე გამოვლინდა, ზოგ რეგიონში კი წყლის ზედაპირის ტემპერატურა ნორმას 6 გრადუსზე მეტით აჭარბებდა. ეკოლოგიური ზიანის ნიშნები უკვე რამდენიმე ქვეყანაში გამოიკვეთა. მაგალითად, გაერთიანებულ სამეფოში მეთევზეები რვაფეხების პოპულაციის მკვეთრ ზრდაზე საუბრობენ. პარალელურად, ზღვის ბინადრების სხვადასხვა სახეობამ შედარებით ცივი, ჩრდილოეთის წყლებისკენ იწყო გადაადგილება, რაც საკვებ ჯაჭვს, სანაპირო თევზჭერასა და აკვაკულტურას სერიოზულ საფრთხეს უქმნის.**

ამასთან, შედეგები შესაძლოა, ხმელეთზეც აისახოს. ზღვის ზედაპირის მაღალი ტემპერატურა სანაპირო ზონებში ტენიანობას ზრდის. ეს კი გაუსაძლისი სიცხეების რისკს საგრძნობლად ზრდის, რადგან ასეთ პირობებში ადამიანის ორგანიზმი ოფლის გამოყოფით გაგრილებას ვეღარ ახერხებს.

**□ტურვისთვის შედარებით თბილი წყალი ცივი ქვეყნების მცხოვრებლებისთვის, მათ შორის ჩემთვისაც, შესაძლოა მიმზიდველად ჟღერდეს, თუმცა წყალქვეშ მიმდინარე პროცესები ბევრად საგანგაშოა. ზღვის ტემპერატურის მატებას იმ ეკოსისტემების სრულად შეცვლა შეუძლია, რომლებზეც სანაპირო დასახლებების სურსათით უზრუნველყოფა და შემოსავალია დამოკიდებული. ამავდროულად, ეს პროცესი ხმელეთზე დამანგრეველ, ექსტრემალურ კლიმატურ მოვლენებს იწვევს□**

### კლერ ბერჯინი, ირლანდიის მაინუტის უნივერსიტეტის კლიმატოლოგი

**შვეიცარიის, შვედეთის, აშშ-ის, ირლანდიისა და გაერთიანებული სამეფოს მეცნიერებმა შეისწავლეს, წელს დაფიქსირებული უჩვეულოდ თბილი წყლები დროებითი ანომალიაა თუ კლიმატის ცვლილების შედეგი.**

მათ ოთხი განსხვავებული სანაპირო რეგიონი გააანალიზეს და დათბობის ტენდენცია ოთხივეში დაადასტურეს, რამაც გლობალურ საშუალო მაჩვენებელს გადააჭარბა. ხმელთაშუა ზღვის რეგიონში დათბობის ტემპი გლობალურ საშუალო მაჩვენებელს დაახლოებით ორჯერ აღემატება.

### გავლენა ევროპაზე

**კლიმატური მოდელების სიმულაციებსა და დაკვირვებებზე დაყრდნობით, მკვლევრებმა დაასკვნეს, რომ დათბობის ტენდენციის ძირითადი მიზეზი კლიმატის ცვლილებაა, რასაც პირველ რიგში წიაღისეული საწვავის წვა განაპირობებს.**

კვლევის მიხედვით, კლიმატის ცვლილებამ ტემპერატურის პირდაპირი მატება გამოიწვია: დაახლოებით 2 გრადუსით ხმელთაშუა ზღვაში, 1.4 გრადუსით ბისკაის ყურესა და პირინეის ნახევარკუნძულის აკვატორიაში, ხოლო 1.3 გრადუსით კელტების ზღვაში, რომელიც სამხრეთ ირლანდიას, სამხრეთ უელსსა და ჩრდილო-დასავლეთ საფრანგეთს შორის მდებარეობს.

წლევანდელი საზღვაო სითბური ტალღა უპრეცედენტოა არა მხოლოდ ტემპერატურით, არამედ გეოგრაფიული მასშტაბითაც. მოდელის მიხედვით, 2026 წელს სითბური ტალღები ბისკაის ყურისა და პირინეის სანაპირო ზოლის 90 პროცენტს, ასევე დასავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთის 80 პროცენტს მოიცავს. □**ადამიანის საქმიანობით გამოწვეული 1.4-გრადუსიანი დათბობა რომ არა, ეს მაჩვენებელი დაახლოებით 40 პროცენტი იქნებოდა. აღმოსავლეთ ხმელთაშუაზღვისპირეთში არსებული 70 პროცენტი 9 პროცენტამდე შემცირდებოდა, ხოლო კელტების ზღვაში, კლიმატის ცვლილების გარეშე, 80-ის სანაცვლოდ 30 პროცენტი დაფიქსირდებოდა□** – განმარტავენ მეცნიერები.

მკვლევართა პროგნოზით, მოსალოდნელი დათბობა იმ ზღვარს გადააჭარბებს, რომელთან ადაპტაციასაც ზღვის ბინადრები შეძლებენ. სწრაფმა დათბობამ შესაძლოა, რამდენიმე საკვანძო სახეობის (მათ შორის ვირთევზას, სკუმბრიასა და ლობსტერის) თევზჭერის ინდუსტრიის კოლაფსი გამოიწვიოს.

# „მტაცებელი“ შიშველია!

**ის, რასაც ახლა ვხედავთ, არის მსოფლიო, რომელსაც ბალანსი სწყურია. ხოლო მრავალი ქვეყნის პერსპექტივიდან, და არა მხოლოდ გლობალური სამხრეთისა, აშშ არის ქვეყანა, რომლის დაბალანსებაც ყველაზე მეტადაა საჭირო!**



**სრულიად გაოგნებული ვარ იმ ოფიციალურ პირთა რაოდენობით, რომლებიც, მართალია, სიმპათიით არ არიან განწყობილები ირანის ან ისლამური რესპუბლიკის მიმართ, თუმცა პირად საუბრებში შვებით აღნიშნავენ თეირანის წარმატებას აშშ-ისრაელისა და ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ.**

# დღეს უსაფრთხოება ისაა, რომ მთავარმა მტაცებელმა არ შეგამჩნიოს!

**იმის გათვალისწინებით, რომ ამ ოფიციალური პირებიდან მრავალი წარმოადგენს ქვეყანას, რომელიც მყარად დგას აშშ-ის გვერდით და სერიოზული პრობლემები აქვს ისლამურ რესპუბლიკასთან, ეს „ჩუმი ქომაგობა“ ირანის მიმართ ბევრ რამეს გვეუბნება გლობალური მდგომარეობის შესახებ.**

ამგვარი საყოველთაო შვების განცდა განპირობებულია იმით, რომ აგრესიამ და საერთაშორისო სამართლის დარღვევამ აშშ-სა და ისრაელს ირანში სარგებელი ვერ მოუტანა, ისევე როგორც რუსეთს უკრაინაში.

ვენესუელა, მრავალი დიპლომატის წარმოდგენით, დამაშინებელი მაგალითი იყო. მიუხედავად იმისა, როგორ უყურებს ვინმე მადუროს... იდეა, რომ სუპერსახელმწიფოს შეუძლია სხვა ქვეყნის მეთაური გაიტაცოს, თავისი ფავორიტი მმართველი დასვას, რომელსაც ახლა სოციალური ქსელის პოსტების დამტკიცება აშშ-ის სახელმწიფო მდივანთან უწევს, და სიხარულით გამოაცხადოს, რომ ვენესუელა ახლა ამერიკის ტერიტორიაა, მრავალი ქვეყნისთვის შემაძრწუნებელი აღმოჩნდა. ისევე როგორც ის ფაქტი, რომ ევროპელმა ლიდერებმა შეაქეს რეჟიმის ცვლილების ოპერაცია და შეშფოთება მისი კანონიერების შესახებ სრულიად უგულებელყვეს.

ევროპა, რომელიც მთლიანობაში ეწინააღმდეგებოდა ჯორჯ უ. ბუშის ადმინისტრაციის უკანონო შეჭრას ერაყში, ახლა ენთუზიაზმით უჭერდა მხარს რეჟიმის ცვლილებას ვენესუელაში, იმავდროულად კი საერთაშორისო სამართლის უზენაესობის დაცვას ითხოვდა უკრაინასა და გრენლანდიაში. წინააღმდეგობის ამ ნაკლებობამ აშშ-ის ნეოკოლონიური პოლიტიკის ფასი კიდევ უფრო მისაღები გახადა. დონალდ ტრამპის მიდრეკილებების გათვალისწინებით კი, ამერიკის შეერთებული შტატების როგორც მეგობრებს, ისე მტრებს ეშინოდათ, რომ შესაძლოა, შემდეგი ისინი ყოფილიყვნენ.

შთამბეჭდავი სამხედრო წარმატება ვენესუელაში ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იყო, რის გამოც ტრამპი ასე აენთო ირანთან ომის იდეით. თუ ვენესუელას რამდენიმე საათი დასჭირდა, მას სჯეროდა, რომ ირანს მაქსიმუმ ოთხ დღეში აიღებდა. არაბი ოფიციალური პირის თქმით, მან პირობა მისცა სკეპტიკურად განწყობილ რეგიონულ ლიდერებს, რომ მთელი ეს პროცესი **„100 საათზე მეტს არ გასტანდა“**.

ექვსი თვის შემდეგ, იგი წაგებულ ომშია გაჭედილი, რომლის დასასრულიც არ ჩანს. ხოლო ოფიციალური პირები მთელ მსოფლიოში შვებას გრძნობენ, რადგან ირანის წარმატებულმა წინააღმდეგობამ ეფექტურად აღკვეთა ტრამპის გადასვლა შემდეგ სამიზნეებზე. როგორც ამერიკის ტრადიციული მოკავშირე ქვეყნის ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა მითხრა: „ირანელების გამძლეობა რომ არა, ტრამპი სავარაუდოდ უკვე დაესხმებოდა თავს კუბას და შესაძლოა, გრენლანდიის ანექსიაც კი დაეწყო“.

მნიშვნელოვანია, აღვნიშნოთ, რომ ამ განწყობებს ნაკლები კავშირი აქვს უშუალოდ ირანთან. მთავრობების დონეზე ისლამური რესპუბლიკის მიმართ მცირე სიმპათია შევამჩნიე, თუმცა ფართო საზოგადოებაში ვითარება განსხვავებული ჩანს. ეს განწყობები, უფრო მეტად, თვითგადარჩენის ინტერესებიდან მომდინარეობს.

ამერიკა, რომელიც დაუფარავ ნეოკოლონიურ საგარეო პოლიტიკას ატარებს, ბევრი ქვეყნისთვის უფრო დიდ საფრთხეს წარმოადგენს, ვიდრე ირანის მიერ ჰორმუზის სრუტის ჩაკეტვა. რა თქმა უნდა, ეს უკანასკნელი აზიანებს უდანაშაულო ქვეყნებს, რომელთაც არანაირი როლი არ უთამაშიათ ტრამპის კატასტროფულ ომში. მაგრამ ეს შედარებით მართვადი ტკივილია. მხოლოდ რამდენიმე ქვეყანას თუ აქვს თავისი სამხედრო ძალები ისე დაპროექტებული, რომ ამერიკის ან ისრაელის აგრესია მოიგერიოს, თუკი ისინი ტრამპის სამიზნეთა სიაში აღმოჩნდებიან.

მართლაც, არსებობს შეშფოთებაც იმის გამო, რომ ირანმა შესაძლოა ჰორმუზის სრუტე ძალიან ადრე გახსნას - სანამ ტრამპი საბოლოოდ იტყვის უარს ნეოკონსერვატიზმის თამაშზე. როგორც ირანმა შეუწყო ხელი ამერიკისთვის ჭაობში შექმნას ერაყში, რათა ირანში ბუშის ადმინისტრაციის შემდგომი შეჭრა აერიდებინა თავიდან, მსგავსადვე, მრავალი ქვეყანა ახლა ფარულად იმედოვნებს, რომ ტრამპი სპარსეთის ყურეში იქნება გაჭედილი. ეს შესაძლოა ყველაზე ეფექტური გარანტია იყოს იმისა, რომ მისი რეჟიმის ცვლილებისა და ანექსიის მარში შეჩერდეს.

**ის, რასაც ახლა ვხედავთ, არის მსოფლიო, რომელსაც ბალანსი სწყურია. ხოლო მრავალი ქვეყნის პერსპექტივიდან, და არა მხოლოდ გლობალური სამხრეთისა, ამერიკის შეერთებული შტატები არის ქვეყანა, რომლის დაბალანსებაც ყველაზე მეტადაა საჭირო. არა რუსეთის. არა ირანის. არა ჩრდილოეთ კორეის. და მით უმეტეს – არა ჩინეთის.**

ეს არ არის რომელიმე ამ ქვეყნის, მათი მმართველობითი სტრუქტურების, შიდა პოლიტიკისა თუ იდეოლოგიების მხარდაჭერა. არც იმ საფრთხეებისა და გამოწვევების უგულებელყოფაა, რომელთაც ისინი ქმნიან თავიანთ რეგიონებში. ეს უბრალოდ ცივი და საღი შეფასებაა იმისა, საიდან მოდის ყველაზე მწვავე საფრთხე.

ჩვენ ამის ვარიაცია 2022 წელს ვნახეთ, როცა რუსეთი შეიჭრა უკრაინაში. გლობალური სამხრეთის ქვეყნების უმრავლესობა თანაუგრძნობდა უკრაინას გასაგები მიზეზების გამო, მაშინაც კი, როცა ისინი გარკვეულ პასუხისმგებლობას ნატოსაც აკისრებდნენ. მაგრამ მათ რუსეთი საკუთარ საფრთხედ ვერ აღიქვეს, რადგან რუსეთს არ გააჩნდა იმის შესაძლებლობა, რომ უკრაინაში შეჭრის შემდეგ, მაგალითად, თავს აფრიკას დასხმოდა.

**ვაშინგტონმა რუსეთი საერთაშორისო ფინანსური სისტემისგან ხუთ დღეში გათიშა, და განგაშის ზარები დარეკა მთელ მსოფლიოში. არა იმიტომ, რომ ისინი თანაუგრძნობდნენ რუსეთს ან მათი აზრით სანქციები გაუმართლებელი იყო, არამედ იმიტომ, რომ აშშ-მა აჩვენა – მას შეუძლია ეკონომიკები მთელ მსოფლიოში რამდენიმე დღეში გაანადგუროს. რუსეთის შეჭრამ უკრაინაში არ გამოავლინა გლობალური სამხრეთის მსგავსი მოწყვლადობა რუსული ზრახვების მიმართ. თუმცა, ვაშინგტონის სწრაფმა სანქციებმა გამოავლინა უზარმაზარი მოწყვლადობა ამერიკული ჭირვეულობისა და შესაძლებლობების მიმართ.**

ეს საფრთხე შესაძლოა, თეორიული ყოფილიყო 2022 წელს. ბოლოსდაბოლოს, ბაიდენს არ გამოუხატავს ამ იარაღის უბრალო ერთობისთვის გამოყენების სურვილი. დღეს კი ეს ყველაფერია, გარდა თეორიულისა.

ამერიკის მეგობრობა არ გიცავთ ტრამპის ხასიათის ცვლილებებისგან. ერთმა დასავლელმა დიპლომატმა ცოტა ხნის წინ მომიყვა თავისი ძალისხმევის შესახებ – დაერწმუნებინა თავისი ხელმძღვანელობა, არ მოეთხოვათ სახელმწიფო ვიზიტი ვაშინგტონში. **„კარგი არაფერი გამოვა. უბრალოდ სჯობს, მისი მხედველობის არეალში არ ვიყოთ“** – მითხრა მოკავშირე სახელმწიფოს დიპლომატმა.

**ისევე, როგორც ჯუნგლებში, უსაფრთხოება ისაა, მთავარმა მტაცებელმა ვერ შეგამჩნიოს. ეს რეალობა კიდევ ერთხელ გვიჩვენებს, რამდენად კატასტროფული იყო ირანის ომი – და ზოგადად ნეოკონსერვატიული საგარეო პოლიტიკა – თავად ამერიკის შეერთებული შტატებისთვის. ყველა სახელმწიფო ცდილობს ძალაუფლების დაგროვებას. მაგრამ პასუხისმგებლობის მქონე სახელმწიფოებრიობა და დიპლომატია უზრუნველყოფს იმას, რომ ძალაუფლება უსარგებლოდ არ იქნეს გამოყენებული სხვა ერების მიმართ.**

**მე არ ვამბობ, რომ მსოფლიოს ამერიკის წაგება სურს. მაგრამ მას სულ უფრო მეტად სურს ამერიკა დაბალანსებული და შეზღუდული იყოს.**

*წყარო:* ***https://original.antiwar.com/trita-parsi/2026/08/23/why-so-many-countries-around-the-world-quietly-root-for-iran/?utm_source=rss&utm_medium=rss&utm_campaign=why-so-many-countries-around-the-world-quietly-root-for-iran***

## ტრამპის ადმინისტრაცია 200 000-მდე უცხოელისთვის ბიზნეს და ტურისტული ვიზების გაუქმებას განიხილავს

**„ამის შესახებ ინფორმაციას „ასოშიეითიდ პრესი“ ავრცელებს.**

საუბარია 2016-2026 წლებში გაცემულ ვიზებზე, რომელთა მფლობელებმაც აშშ-ში თავშესაფრის მიღებაზე განაცხადი შეიტანეს ან ამჟამად ითხოვენ თავშესაფარს. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ოფიციალური პირები ანონიმურობის პირობით ავრცელებენ, რადგან გადაწყვეტილება საბოლოოდ ჯერ მიღებული არ არის. აღნიშნულის შესახებ განცხადება გაავრცელა აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა **ტომი პიგოტმა**. მან უარი თქვა იმ ადამიანების ზუსტი რაოდენობის დასახელებაზე, რომელთა ვიზებიც, შესაძლოა, გაუქმდეს, თუმცა აღნიშნა, რომ კოორდინაციაში არიან აშშ-ის საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტთან.

**„ჩვენ ვთანამშრომლობთ აშშ-ის საშინაო უსაფრთხოების დეპარტამენტთან, რათა გამოვავლინოთ და გავაუქმოთ იმ უცხოელთა არასაიმიგრაციო ვიზები, რომლებიც შეერთებულ შტატებში მოკლევადიანი ვიზიტორების სტატუსით ჩამოვიდნენ, თუმცა შემდეგ თავშესაფრის მოთხოვნა შეიტანეს, რათა ქვეყანაში მუდმივად დარჩნენ. ეს პროცესი გაგრძელდება, გაუქმებული ვიზების რაოდენობა დინამიკურია და გადაწყვეტილებები ეტაპობრივად მიიღება“,** – განაცხადა **პიგოტმა**.

ამასთან, ოფიციალური პირების განცხადებით, ვიზების გაუქმება ავტომატურად არ ნიშნავს ამ ადამიანების დაუყოვნებლივ დეპორტაციას.

# მოსალოდნელია რუსეთიდან ემიგრაციის ახალი ტალღა!

**რუსეთში უარესისთვის ემზადებიან: ხალხს ბანკებიდან მილიარდობით რუბლი გააქვს, ცხოვრების გაუარესებას ელის და ქვეყნის დატოვებაზე ფიქრობს. ეს პესიმიზმი ზრდის საბიუჯეტო დეფიციტსაც, რომლის შესავსებად კრემლს შესაძლოა, ფულის საბეჭდი მანქანის ამუშავება დასჭირდეს.**

**რუსეთში ბოლო კვირების განმავლობაში მკვეთრად გაიზარდა საზოგადოების პესიმიზმი – როგორც ომთან, ისე ზოგადად, საკუთარი ცხოვრების პერსპექტივასთან დაკავშირებით. რუსეთში მთავრობისადმი ლოიალური საზოგადოებრივი აზრის კვლევის სახელმწიფო ცენტრის, ВЦИОМ-ის გამოკითხვამაც კი აჩვენა, რომ 2026 წლის ივლისში რუსეთის იმ მოქალაქეების წილი, რომლებიც ფიქრობენ, რომ ყველაზე მძიმე დროება ჯერ კიდევ წინ აქვთ, 66%-მდე გაიზარდა, რაც 2020 წლის აპრილის შემდეგ ყველაზე მაღალი მაჩვენებელია. 12%-მა პირდაპირ თქვა, რომ რუსეთი „კრიზისს განიცდის“.**

**2026 წლის მაისში გამოკითხულთა 60% აცხადებდა, რომ ყველაზე მძიმე დრო ჯერ კიდევ წინ ჰქონდათ, ივნისში ასე ფიქრობდა 63%, ივლისში კი – 66%.**

**2025 წლის მარტში განწყობები გაცილებით მშვიდი იყო: მაშინ ვითარების გაუარესებას გამოკითხულთა მხოლოდ 39% ელოდა.**



# რუსები უარესის მოლოდინში, ქვეყნიდან ხალხი და ფული გაედინება!

**რუსეთის მოქალაქეების პესიმიზმი არ უკავშირდება მხოლოდ უკრაინის ფრონტზე მიმდინარე მოვლენებს და უკრაინული დრონების მიერ რუსეთის სიღრმეში გახშირებულ დარტყმებს, რომელთა შედეგებიც რუსეთის თითქმის ყველა რეგიონის მოსახლეობამ საკუთარ თავზე გამოცადა. ექსპერტთა თქმით, ცვლილება დაკავშირებულია იმასთან, თუ როგორ რეაგირებს უკრაინის იერიშებზე მათი ქვეყნის მთავრობა. კრემლმა არაერთხელ განაცხადა, რომ აპირებს ომის გაგრძელებას ბიუჯეტთან დაკავშირებული პრობლემების, ომით გამოწვეული ბიზნესდანაკარგებისა და ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე იერიშების შედეგად წარმოქმნილი საწვავის დეფიციტის მიუხედავად.**

რუსეთის მოქალაქეები აცნობიერებენ იმასაც, რომ ომის გაგრძელებას ფული სჭირდება და ისინი უკვე საკუთარ თავზე გრძნობენ გადასახადების ზრდას, ფასების მატებას, სოციალური დახმარებების შემცირებასა და, ზოგადად, ცხოვრების ხარისხის გაუარესებას. Gallup-ის ბოლო გამოკითხვის მონაცემებით, ბოლო პერიოდში ცხოვრების ხარისხის გაუარესების შესახებ განაცხადა რუსეთის მოქალაქეების 56%-მა, რაც ერთი წლის წინანდელ მაჩვენებელზე 13 პროცენტული პუნქტით, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელზე 22 პროცენტული პუნქტით მეტია. დღეს რუსების 60% მიიჩნევს, რომ ქვეყანაში ეკონომიკური მდგომარეობაც უარესდება. ამგვარმა ნეგატიურმა მოლოდინებმა უკვე გამოიწვია ფულის მასობრივი გადინება რუსეთის ბანკებიდან.

## რა ანგრევს რუსეთის საბანკო სისტემას

**რუსეთის ცენტრალური ბანკის მონაცემებით, 2026 წლის ივლისში მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფულის საერთო მოცულობა 643,4 მილიარდი რუბლით (6,53 მილიარდი ევრო) გაიზარდა, რაც 2026 წლის დასაწყისიდან ყველაზე დიდი ყოველთვიური მატებაა. ბანკის მონაცემებითვე, 2026 წლის დასაწყისიდან რუსეთის საბანკო სისტემიდან ნაღდი ფულის მასაში მთლიანობაში 2,4 ტრილიონი რუბლი (24,4 მილიარდი ევრო) გადავიდა. აგვისტოს პირველ ნახევარში რუსეთის ბანკებიდან გაიტანეს კიდევ 300 მილიარდი რუბლი, ანუ დაახლოებით 3 მილიარდი ევრო.**

ანალიტიკოსების აზრით, ნაღდი ფულის მასობრივი გატანა ასახავს რუსების მზარდ უნდობლობას საბანკო სისტემის მიმართ, რაც უკრაინის იერიშებითა და გაღრმავებული ეკონომიკური კრიზისით არის გამოწვეული. უკრაინული დრონების დარტყმებმა ნავთობგადამამუშავებელ ქარხნებზე რუსეთში ნავთობის გადამუშავების მოცულობა 30%-ით შეამცირა.

**„დაფრინავენ დრონები. ირგვლივ ყველაფერი იწვის. დაძაბულობა იზრდება. და შესაძლოა, ადამიანები აცნობიერებენ, რომ ნაღდი ფული ბალიშის ქვეშ უნდა შეინახონ და არა ბანკებში, საიდანაც, შესაძლოა, ის ვეღარასოდეს დაიბრუნონ“** – უთხრა Washington Post-ს ყოფილმა რუსმა ჩინოვნიკმა, რომელმაც ანონიმურად დარჩენა ისურვა.

## ამუშავდება ფულის საბეჭდი მანქანა?

**ეკონომისტების პროგნოზით, ნაღდი ფულის მასის ზრდა გამოიწვევს ინფლაციის მატებას და ისედაც მძიმე ვითარებაში მყოფი რუსეთის ეკონომიკის მდგომარეობის გაუარესებას.**

რუსეთის ცენტრალურმა ბანკმა, ცოტა ხნის წინ, საშუალოვადიანი მაკროეკონომიკური პროგნოზი განაახლა და წლის შედეგების მიხედვით ინფლაციის საკუთარი პროგნოზი 4,5%-დან 7%-მდე გაზარდა. გარდა ამისა, ცენტრალური ბანკის განახლებულ პროგნოზში ბიუჯეტის დეფიციტიც გაიზარდა მშპ-ის 2%-ით, ანუ დაახლოებით 4,5 ტრილიონი რუბლით. რუსეთის 2026 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებულ 3,8 ტრილიონ რუბლთან ერთად, რუსეთის ბიუჯეტის ჯამურმა დეფიციტმა 8,3 ტრილიონი რუბლი (დაახლოებით 100 მლრდ დოლარს) შეადგინა.

რა შეიძლება იყოს რეკორდული საბიუჯეტო დეფიციტის დაფინანსებისთვის საჭირო სახსრების წყარო? ექსპერტთა შეფასებით, საკითხი სულაც არ არის უმნიშვნელო, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რუსეთის ფინანსთა სამინისტროს გაურკვეველი ვადით მოუწია ფედერალური სასესხო ობლიგაციების განთავსების აუქციონების გაუქმება.

როგორც რადიო „თავისუფლების“ რუსული რედაქციის ეკონომიკური მიმომხილველი მაქსიმ ბლანტი ამბობს, დაფინანსების წყაროსთან დაკავშირებულ კითხვაზე პასუხი ზედაპირზევე დევს: რუსეთის ფინანსთა სამინისტრომ ახლახან დაარეგისტრირა მცურავი კუპონით გათვალისწინებული ფედერალური სასესხო ობლიგაციების ორი გამოშვება, საერთო ჯამში 1,5 ტრილიონი რუბლის მოცულობით, რომელთა დაფარვის ვადად 2037 და 2042 წლებია განსაზღვრული, ხოლო ობლიგაციებს სახელმწიფო ბანკები შეისყიდიან.

**„თუ საიდან მოიპოვებენ სახელმწიფო ბანკები ამისთვის საჭირო თანხას, ამის გამოცნობა რთული არ არის, – ამბობს მაქსიმ ბლანტი, – რუსეთის ფედერაციაში ემისიის ცენტრი მხოლოდ ერთია. სწორედ ის გამოუშვებს, ანუ მარტივად რომ ვთქვათ, დაბეჭდავს რუბლებს“.**

## მიგრაციის ახალი ტალღა

**რუსეთის მოქალაქეების განწყობაზე, ეკონომიკური სახის პრობლემების გარდა, ნეგატიურ გავლენას ასევე ახდენს შფოთვა 2026 წლის შემოდგომაზე (საპარლამენტო არჩევნების დასრულების შემდეგ) ახალი მობილიზაციის შესაძლო გამოცხადების გამო. შედეგად ბოლო თვეებში გაიზარდა იმ ადამიანების ნაკადი, რომლებიც რუსეთს ტოვებენ როგორც დროებით, ისე სამუდამოდ.**

2026 წლის ზაფხულში უფლებადამცველი ორგანიზაციები („Ковчег“), სერვისები და სოციოლოგები რუსეთიდან ემიგრაციის ინტერესის მკვეთრ ზრდას და ახალ ტალღას ადასტურებენ. The Moscow Times-ის მონაცემებით, ქვეყნის დატოვებასთან და უვიზო მიმართულებებთან დაკავშირებული ინფორმაციის ძიების მოთხოვნები 2022 წლის შემოდგომის მობილიზაციის მაჩვენებლებს გაუტოლდა. ამის მთავარი მიზეზებია:

- **ახალი მობილიზაციის შიში;**
- **დაღლილობა და უპერსპექტივობა – გაჭიანურებული ომის პირობებში ცხოვრებით გამოწვეული ზოგადი ფსიქოლოგიური დაღლილობა და ქვეყნის შიგნით გრძელვადიანი დაგეგმვის შეუძლებლობა.**
- **უსაფრთხოების რისკები – მზარდი შიდა პოლიტიკური რეპრესიები და სამოქალაქო თავისუფლებების შეზღუდვა.**

2022 წლის პირველი, ქაოსური ტალღისგან განსხვავებით, როდესაც ადამიანები ხშირად მხოლოდ ზურგჩანთებით გარბოდნენ, ახლა რუსეთიდან წასვლას უფრო გააზრებული ხასიათი აქვს. ადამიანები ყიდიან უძრავ ქონებას, ხურავენ ბიზნესს და ემზადებიან ხანგრძლივი ან სამუდამო ემიგრაციისთვის.

ემიგრაციის ძირითადი მიმართულებებია უვიზო ქვეყნები (რუსეთის ე.წ. ახლო სამეზობლო). საქართველო, სომხეთი და სერბეთი კვლავ ლიდერობენ მარტივი შესვლის, პირველადი ლეგალიზაციისა და უკვე არსებული რუსულენოვანი თემების გამო.

საგრძნობლად იმატა რუსი მიგრანტების ინტერესმა დასავლური სანქციებისგან შორს მყოფი ქვეყნების – არგენტინისა და ბრაზილიის მიმართ.

**„ომის დაწყება რუსებისთვის შოკი იყო. შემდეგ ადაპტაციის პერიოდი დადგა, ისინი ომს შეეგუვნენ. ახლა კი მათში მომავლის ჰორიზონტის ნგრევის პროცესი მიმდინარეობს. ადამიანები ამბობენ: შემდეგ უარესი იქნება, და თავადაც უარესისთვის ემზადებიან“** – ამბობს რუსი სოციოლოგი და პოლიტოლოგი **დმიტრი დუბროვსკი.**

დუბროვსკის თქმით, როდესაც რუსეთში ადამიანები მომავალზე საუბრობენ, სინამდვილეში, ისინი პირდაპირ არც ომს გულისხმობენ და არც საერთაშორისო პოლიტიკას, თუმცა ომის მიმდინარეობის ეფექტიანობას ისინი საკმაოდ დაბალ შეფასებას აძლევენ.

**„როგორც ჩანს, ომი სულ უფრო მეტად ანგრევს წარმოდგენას იმაზე, საერთოდ რა ხდება რუსეთში დღეს და რამდენად ნორმალურია ვითარება. მაგრამ მთავარი ის არის, რომ ეს განწყობები შეიძლება რუსების მომავლის ჰორიზონტის ნგრევად გავიგოთ. ანუ ადამიანები უკვე ამბობენ, რომ მომავალში უარესი იქნება“.**

დმიტრი დუბროვსკი რადიო „თავისუფლების“ პროექტ The CurrentTimes-თან საუბარში იხსენებს საბჭოთა ანეკდოტს, რომლის მიხედვითაც ოპტიმისტსა და პესიმისტს შორის განსხვავება ისაა, რომ პესიმისტი ამბობს: **„ამაზე უარესი უკვე აღარ იქნება“**, ხოლო ოპტიმისტი პასუხობს: **„როგორ არა, წინ უარესი გველისო“.**

რა შეიძლება მოჰყვეს ამ „ნორმალურობის ეროზიას“? – ამ კითხვის პასუხად დმიტრი დუბროვსკი ამბობს:

**„ზოგმა შეიძლება გადაწყვიტოს, რომ წასვლის დროა, და ჩვენ ვხედავთ, რომ გაიზარდა ხალხის ნაკადი ზემო ლარსის მიმართულებით – რუსეთ-საქართველოს საზღვრის გამშვები პუნქტისკენ. როგორც ჩანს, ესეც იმ გადაწყვეტილებების ნაწილია, რომლებიც სწორედ ასეთი განწყობისა და მომავლის შიშის ფონზე მიიღეს. ვიღაც ფულის გამოტანას იწყებს, ვიღაც კი TikTok-ზე ვიდეოებს იღებს და ამბობს, რომ „მოგზაურობა სწორედ ახლა უნდა დაგეგმონ“, რადგან შემოდგომაზე ამისთვის „აღარ ეცლებათ“. ადამიანები ემზადებიან. ემზადებიან ისე, როგორც უარესისთვის უნდა ემზადებოდნენ“.**

**ჯიმშერ რეხვიაშვილი,**

რადიო „თავისუფლება“



# სპარინგის მადლი

**კატარის მუნდიალ – 2027-ის მეორე ჯგუფურ რაუნდში ისრაელის ნაკრები მხოლოდ კვიპროსთან მოგებებით გავიდა, რადგან გერმანიასთან და ხორვატებთან ორ-ორჯერ დამარცხდა, ამიტომ საკვალიფიკაციო ტურნირის წარმატებით დასრულების მინიმალური შანსი აქვს.**

მიუხედავად ამისა, ეს გუნდი ჩვენთვის პრინციპულ მეტოქედ რჩება და როგორც ყოველთვის, ქორქია-ჯორჯიკიას სახელობის სპორტის სასახლეში ჩატარებულ სპარინგში დიდი ბრძოლა გაგვიმართა.

**საქართველო – ისრაელი 101:90**

**საქართველო:** ბითაძე – 22, მამუკელაშვილი – 20, შენგელია – 17, ანდრონიკაშვილი – 12, სანაძე – 11, რიდი – 5, ოჩხიკიძე – 5, ტურძილაძე – 4, ფევაძე – 3, მერკვილაძე – 2 ქულა. ითამაშეს აგრეთვე კორსანტიამ და კობახიძემ.

მთავარი მწვრთნელი – **ალექსანდრე ჯიკიჩი.**

შეხვედრის ოქმის შემხედვარე, კაცი იფიქრებს, რომ მთელი სიმძიმე ისევ სასტარტო ხუთეულზე გადადის, მაგრამ ამჯერად ნამდვილად არ იყო ასე. დიახ, **ჯიკიჩმა** მაქსიმალური დრო დაუთმო სათადარიგოთა სკამის სტაჟიან წევრებს და მათაც ლიდერები ღირსეულად ჩაანაცვლეს.

ეს განსაკუთრებით მე-3 პერიოდზე ითქმის, როცა ჩვენმა რეზერვისტებმა სტუმრებს გადამწყვეტი უპირატესობით დაწინაურების საშუალება არ მისცეს და პარკეტზე დაბრუნებულ დასვენებულ ყოჩებს გამარჯვების მოსაპოვებლად მშვენიერი პლაცდარმი დაახვედრეს.

ეს ზოგადად, კონკრეტულად კი, როგორც იქნა, კვლავ ვიხილეთ ფარქვეშ ლომივით მებრძოლი **ბითაძე, მამუს** მკვლელი სამქულიანები და უნივერსალი კაპიტნის ამოუწურავი შესაძლებლობები, მათ ფონზე კი საერთო სურათიდან ამოვარდნილად გვეჩვენა **რიდის** პასიურობა, თუმცა გამორიცხული არაა, რომ იგი მწვრთნელთა მითითებით საკუთარ სტატისტიკაზე უფრო ბურთით პარტნიორთა მომარაგებაზე ზრუნავდა.

და კიდევ – **ბურჯანაძის** არყოფნაში ვერავინ ამოკეტა **სორკინი** (28 ქულა), თუმცა სპარინგი იმით გახლავთ ფასეული, რომ დადებითთან ერთად უარყოფითიც ხელისგულზეა წარმოდგენილი.

**მოკლედ, ხვალ მონტენეგროსთან ომია!**

# ქართული ამბები

## ძიუდო

**გუაიაკილი (ეკვადორი).** კადეტთა მსოფლიოს ჩემპიონატი. საქართველო – 2 მედალი. **ვერცხლი** – გიორგი კაპანაძე, გიორგი მჭედლიშვილი.

## ჭიდაობა

**ბრატისლავა (სლოვაკეთი).** მსოფლიოს 20-წლამდელთა ახალგაზრდული ჩემპიონატი. **თავისუფალი სტილი.** საქართველო – 2 მედალი (მწვრთნელი – **ბელდუხ გავაშელიშვილი**). ოქრო – **სანდრო ყურაშვილი** (ეს უკანასკნელ 13 წელიწადში ჩვენი პირველი ტიტულია!). ბრინჯაო – **კონსტანტინე პეტრიაშვილი. ბერძნულ რომაული სტილი**. საქართველო – 2 მედალი (მწვრთნელი – **რევაზ ლაშხი**). ვერცხლი – **კობა ქარუმიძე.** ბრინჯაო – **საბა ფურცელაძე.**





## ცურვა

**შამორინი (სლოვაკეთი).** საწყლოსნო სახეობებში ვეტერანთა ევროპის ჩემპიონატი (მასტერსი). საქართველო – 4 მედალი. 2 ოქრო – საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი და რეკორდსმენი თავისუფალი ყაიდით ცურვაში, პეკინისა და ტოკიოს ოლიმპიადების მონაწილე, მრავალი პრესტიჟული საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული და პრიზიორი, 36 წლის **ირაკლი რევიშვილი** (800 და 200-მეტრიან დისტანციებზე). **ვერცხლი** – საქართველოს ოთხეული ჯამური 160-199 წლების ასაკობრივი კატეგორიის ესტაფეტაში – პირველად დამოუკიდებლობის პერიოდში! (ირაკლი რევიშვილი, შოთა დავითაია, ივანე ლექვთაძე, ალექსანდრე მოსეშვილი). ბრინჯაო – **შოთა დავითაია** (200 მეტრი ინდივიდუალური კომპლექსური ცურვით).

## ძალოსნობა

**პრიშტინა (კოსოვო).** ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატი 35 ქვეყნის 360 სპორტსმენის (მათ შორის 173 გოგონას) მონაწილეობით. საქართველოს 23-წევრიანი დელეგაცია – 10 მედალი 4 დღის შემდეგ. **ლევან ძიმცეიშვილი** – 3 ოქრო, **ნუგზარ მანია** – 2 ოქრო, 1 ვერცხლი, **ირაკლი ყიფიანი** – 3 ბრინჯაო, **სალომე კუჭავა** – 1 ბრინჯაო.



# ასეა ეს!

**ამერიკული ტელეკომპანია ესპიენის ვერსიით ხვიჩა კვარაცხელია მსოფლიოს მესამე გარემარბია! კლასიფიკაციის შედგენისას მისი ორგანიზატორები ითვალისწინებდნენ 2025-2026 წლების სეზონის შედეგებს, მათ შორის ნომინანტთა თამაშს მუნდიალზე, თუმცა არც ისინი დავიწყნიათ, ვინც ტრავმების გამო პრესტიჟულ ტურნირებს დააკლდა.**

სრულად რჩეულთა ოცეული ასე გამოიყურება: ოლისე, იამალი, კვარაცხელია, დიასი, მესი, ვინისიუსი, საკა, რაფინია, დუე, დოკუ, სემენიო, ბარკოლა, ლუკმანი, ილდიზი, გორდონი, მბემო, სალაჰი, დიომანდე, კინიონესი, სარი. შეიძლება, ბევრს უკმარისობის გრძნობა დარჩეს, როგორ თუ კვარა საუკეთესოდ არ ცნესო, მაგრამ, მეორე მხრივ, სასაყვედურო რა უნდა გვქონდეს, როცა ხვიჩა თვით მესიზე წინ დააყენეს?

# ისტორიული ბურთი აუქციონზე გაიყიდა

**1986 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ბურთი, რომლითაც დიეგო მარადონამ თავისი ცნობილი გოლი „ღმერთის ხელი“ გაიტანა, Heritage Auctions-ზე 2,5 მილიონ ფუნტ სტერლინგად გაიყიდა.**

მარადონამ, როგორც ცნობილია, ბურთი ხელით გადააგზავნა მეკარე პიტერ შილტონის კარში, რითაც არგენტინამ მეოთხედფინალში ინგლისი 2:1 დაამარცხა. მატჩის შემდეგ მან ჟურნალისტებს განუცხადა, რომ გოლი გაიტანა „ცოტათი მარადონას თავით და ცოტათი ღვთის ხელით“. მოგვიანებით, იმავე მატჩში, მარადონამ გაიტანა გოლი, რომელიც ცნობილი გახდა როგორც „საუკუნის გოლი“.

ტუნისელმა ალი ბინ ნასერმა, რომელიც 1986 წლის მატჩს მსაჯობდა, Adidas Azteca-ს ბურთი მატჩის დასრულებისთანავე აიღო და სამ ათწლეულზე მეტხანს ინახავდა.

2023 წელს მან ხელი მოაწერა წერილს იმის დასადასტურებლად, რომ ეს იყო ერთადერთი ბურთი, რომელიც მატჩის დროს გამოიყენეს, რაც დამატებითი დამოუკიდებელი ექსპერტიზითაც დადასტურდა.

ბინ ნასერმა ბურთი 2022 წელს 2,37 მილიონ დოლარად გაყიდა. მისმა ახალმა მფლობელმა ის ხელმეორედ აუქციონზე 2023 წელს გაიტანა, თუმცა მაშინ ბურთი ვერ გაიყიდა, რადგან შეთავაზებულმა ფასმა დადგენილ მინიმალურ ზღვარს ვერ მიაღწია.



# ფიფამ თხარა, თხარა, და...



**როგორც პოპულარული ბრიტანული გამოცემა გარდიანი იუწყება, ორმა საფეხბურთო კონფედერაციამ – უეფამ და კონკაკაფმა – ფიფასა და მისი პრეზიდენტის – ჯანი ინფანტინოს საწინააღმდეგოდ, რომელსაც ღიად ლობირებს დონალდ ტრამპი, ერთა ლიგის გაერთიანებული ტურნირის შემუშავება დაიწყეს ყველა – 96-ივე წევრის მონაწილეობით.**

სიახლის ჩატარება 2 წელიწადში ერთხელ იგეგმება, მისი სტარტი კი, მართალია, პროექტის განხილვა ამ ეტაპზე ჯერ ადრეულ სტადიაზეა, მაგრამ შესაძლებელია უკვე ევრო 2028-ის დასრულების შემდეგ შედგეს.

ჩანაფიქრის თანახმად, ჯგუფური რაუნდი შემოდგომის სანაკრებო პაუზების დროს უნდა ჩატარდეს, პლეი-ოფი და საკვალიფიკაციო პლეი-ოფის შეხვედრები – მარტში, ხოლო ოთხთა ფინალი – ივნისში. აღსანიშნავია, რომ ტურნირის ერთობლივად ორგანიზებისთვის საჭირო მექანიზმები უკვე არსებობს, რადგან კონკაკაფში უეფას ერთა ლიგის მსგავსი შეჯიბრება ტარდება.

ვარაუდობენ, რომ უცხო ხილი უკვე მიმდინარე საერთაშორისო მატჩებს ჩაანაცვლებს, თამაშები კი გეოგრაფიული ბლოკების მიხედვით მოეწყობა, რათა შორეული ფრენების რაოდენობა შემცირდეს.

ცნობილი ხდება აგრეთვე, რომ მომავალში ახალ ტურნირთან შეერთებას არ გამორიცხავს აზიის საფეხბურთო კონფედერაცია, თუმცა, ღიად რჩება საკითხი, იქნება თუ არა აუცილებელი ფიფას მხრიდან სიახლის რატიფიცირება.

დაბოლოს – ჩვენთვის საინტერესო თემა: პოტენციური შემოსავლების დიდი ნაწილი გაერთიანდება, რაც პატარა ქვეყნებს დამატებით თანხებს მოუტანს.

# ზოგი მუხლით, ზოგიც — მაჯით

**მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა იანიკ სინერმა მარჯვენა მუხლის ტრავმის გამო უკვე გამოტოვა მონრეალისა და ცინცინატის მასტერსები, ამ დღეებში კი გაირკვა, რომ ამავე მიზეზით იტალიელი ვერც აშშ-ის ღია პირველობაზე ითამაშებს.**

სამაგიეროდ, 4-თვიანი მკურნალობის შემდეგ კორტს უბრუნდება რეიტინგის ესპანელი მე-2 ნომერი **კარლოს ალკარასი,** რომელიც მაჯის მორჩენის შემდეგ ოკეანის გაღმა ტიტულის დასაცავად იბრძოლებს. მან მთავარ მეტოქესთან შედარებით გაცილებით მეტი მსხვერპლი გაიღო, რადგან მადრიდისა და რომის პროფესიული ტურის პრესტიჟული ტურნირების გარდა ვერც როლან გაროსზე და უიმბლდონზე შეძლო გამოსვლა.



დავძენთ, რომ პირენეელს მიქსტშიც ვიხილავთ ლეგენდარულ **სერენა უილიამსთან** წყვილში.

# მარიამობა

**საქართველოს წმიდა მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია მარიამ ღვთისმშობლის მიძინების დღესასწაულს ზეიმობს... იესო ქრისტეს ზეცად ამაღლებიდან მე-17 წელს, 28 აგვისტოს მიიძინა მან. ეს მოხდა იოანე ღვთისმეტყველის სახლში, სადაც იგი მაცხოვრის ჯვარცმის შემდეგ ცხოვრობდა.**

საგულისხმოა, რომ ღვთისმშობელს არც მიძინების შემდეგ მიუტოვებია ქვეყნიერება და დღესაც მეოხია ყველასი, ვინც მიმართავს მას: „შეგვეწიე და გვაცხოვნე ჩვენ, დედოფალო“.



## მილოცვა დღესასწაულისა (მარიამობა) და დაბადების დღისა

დიდუბის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის მოძღვარს, ღვთიური და ადამიანური მადლით მირონცხებულ, მრავალმხრივად გამორჩეულ დეკანოზ დავითს – არ მოგშლოდეთ და არ გამოგლეოდეთ ძალა და ენერგია თქვენს სამსახურში.

**გიული ლიპარტია**

სულთათანა

# კიმა სვანაძე



**ოჯახის წევრები, მეგობრები, ნათესავები და კოლეგები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ 96 წლის ასაკში გარდაიცვალა**

**კიმა სვანაძე,**

**საქართველოს სახელმწიფო ბანკის დამსახურებული მოღვაწე, მრავალი წლის განმავლობაში ეროვნული ბანკის მმართველის მოადგილე.**

**მისი წიგნი „ვეტერანი ბანკირის მოგონებები“ ნამდვილი მატიანეა ქართული ბანკის ისტორიისთვის.**

**პანაშვიდი 27-28 აგვისტოს 6-8 საათზე.**

**გამოსვენება 29 აგვისტოს 2 საათზე. მისამართი: შარტავას 45, მე-2 სადარბაზო, მე-5 სართული.**

## სამართალდამცველებმა 33 კილოგრამამდე ნარკოტიკი ამოიღეს!

**შინაგან საქმეთა სამინისტროს შესაბამისი დანაყოფები ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას ყოველდღიურად, უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ.**

ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ, ნარკოტიკების უკანონოდ ბრუნვისა და გავრცელების წინააღმდეგ, კომპლექსურად ჩატარებული მორიგი საპოლიციო ღონისძიების შედეგად, ნარკოდანაშაულის ბრალდებით ქალაქ რუსთავში, დაკავებულია უცხო ქვეყნის 2 მოქალაქე, □ამის შესახებ ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის დირექტორმა **დავით კიკნაძემ** განაცხადა.

ბრალდებულების ერთ-ერთი საცხოვრებელი ბინიდან ნივთმტკიცებად ამოღებულია განსაკუთრებით დიდი ოდენობით 33 კილოგრამამდე ნარკოტიკული საშუალება „ტეტრაჰიდროკანაბინოლი“, ე.წ. ჰაშიში, რომლის ღირებულება ე.წ. შავ ბაზარზე 6 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული ნარკოტიკის ნაწილი დაკავებულ პირებს, ამავე ბინაში ავტომანქანის საბურავებში ჰქონდათ გადამალული.

**სამართალდამცველების მიერ რუსთავში, ბრალდებულების კიდევ ერთი საცხოვრებელი ბინიდან და სასტუმროს ნომრიდან, ასევე ამოღებულია, განსაკუთრებით დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალება □კოკაინი□ □ჰეროინი□და □მეთადონი□**



**გამოძიებით დადგინდა, რომ დაკავებული პირები შეთანხმებულად მოქმედებდნენ და ნარკოტიკის რეალიზაციას სხვადასხვა მეთოდით გეგმავდნენ, თუმცა სამართალდამცველების ოპერატიული რეაგირების შედეგად დანაშაულებრივი განზრახვა ვერ განახორციელეს.**

**გარდა აღნიშნული პირებისა, გასული რამდენიმე დღის განმავლობაში თბილისსა და რეგიონებში ნარკოდანაშაულის წინააღმდეგ ინტენსიურ რეჟიმში ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად სამართალდამცველებმა კიდევ 24 პირი დააკავეს, მათ შორის ნარკორეალიზაციაში სხვადასხვა ფორმით ჩართული 15 პირია.**

**გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე, 260-ე კვარტა, 19 □260-ე და 265-ე პრიმა მუხლებით მიმდინარეობს, რაც 20 წლამდე ან უვადო თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად აგრძელებს ქვეყანაში ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შემოტანისა და გავრცელების აღკვეთის მიზნით შესაბამის კომპლექსურ ღონისძიებებს“.**

## ქობულეთში დასუფთავების მანქანა კომპანიის თანამშრომელს დაეჯახა

**ქობულეთის მუნიციპალიტეტის სოფელ გუკნარში სანდასუფთავების მანქანა ამავე კომპანიის თანამშრომელს დაეჯახა – კაცი ადგილზე დაიღუპა,** – ინფორმაციას ამის შესახებ გამოცემა ბათუმელები ავრცელებს და თვითმხილველებზე დაყრდნობით წერს, რომ დასუფთავების მანქანა უკუსვლით მოძრაობდა, რა დროსაც ის თანამშრომელს დაეჯახა.



შსს-ს ინფორმაციით, გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 276-ე მუხლით, რაც გულისხმობს ავტომობილის მოძრაობის უსაფრთხოების წესის დარღვევას, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

## ავჭალის ხიდიდან 17 წლის მარიამ ლომიშვილი გადავარდა და გარდაიცვალა

**ავჭალაში, შემოვლითი რკინიგზის გაუქმებული ხიდიდან, 17 წლის მარიამ ლომიშვილი გადავარდა და გარდაიცვალა.**

მოზარდი სასწრაფო დახმარების ეკიპაჟმა „ვივამედში“ გადაიყვანა, თუმცა როგორც გარდაცვლილის ოჯახის წევრი ამბობს, 17 წლის მარიამი ადგილზე უკვე გარდაცვლილი იყო.

ოჯახის ადვოკატი ნანა ფარჩუკაშვილი IPN-თან აცხადებს, რომ **„იმ შემთხვევაში, თუ გამოძიებით დადგინდება, რომ 17 წლის გოგომ ხიდიდან გადავარდნით სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა, კითხვები მის შეყვარებულთან ექნებათ, რომელთანაც მარიამ ლომიშვილი დაშორებას ცდილობდა“.** შსს-ს ცნობით, გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით დაიწყო, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.



## თურქეთის მიერ ძებნილი პირები გამოავლინეს

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლებმა თურქ კოლეგებთან ერთად საქართველოს მასშტაბით რამდენიმე ლოკაციაზე ჩატარებული საპოლიციო ღონისძიების შედეგად თურქეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ეროვნულ დონეზე ძებნილი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები გამოავლინეს, რომელთა მიმართაც კანონით გათვალისწინებული შესაბამისი სამართლებრივი პროცედურები განხორციელდა.**

ყველა მათგანი თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეა, ისინი თურქი სამართალდამცველების მიერ თურქეთის რესპუბლიკის მასშტაბით სხვადასხვა კატეგორიის, მათ შორის მძიმე და განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებისთვის იძებნებოდნენ. დგინდება, რომ აღნიშნული პირების ნაწილს დარღვეული ჰქონდა ქვეყანაში ყოფნის ვადები და საქართველოში კანონიერი საფუძვლის გარეშე იმყოფებოდნენ. საპოლიციო ღონისძიებას წინ უძღოდა ოპერატიული და სამძებრო ღონისძიებები, რომლებიც თურქ სამართალდამცველებთან მჭიდრო კოორდინაციით დაიგეგმა. შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლები საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი სხვადასხვა ქვეყნის მიერ ძებნილი უცხო ქვეყნის მოქალაქეების გამოვლენის მიზნით აქტიურად თანამშრომლობენ პარტნიორი სახელმწიფოების, მათ შორის თურქეთის რესპუბლიკის სამართალდამცავ უწყებებთან.



## ისლამაბადის სამშობიაროში ხანძარს 14 ახალშობილი ემსხვერპლა

**ისლამაბადის სამშობიაროში ხანძარს 14 ახალშობილი ემსხვერპლა. ცეცხლი პაკისტანის დედაქალაქის ერთ-ერთი უმსხვილესი საავადმყოფოს მესამე სართულზე, სამშობიარო განყოფილებაში გაჩნდა. წინასწარი ვერსიით, ხანძარი კონდიცირების სისტემის აფეთქებამ გამოიწვია.**

მაშველებმა 19 ადამიანის, მათ შორის ათი ქალის, ორი ბავშვისა და ხუთი მამაკაცის გადარჩენა შეძლეს.

ინციდენტის დროს პალატაში, სადაც ხანძარი დაიწყო, სულ 15 ახალშობილი იმყოფებოდა, მხოლოდ ერთი მათგანის გადარჩენა მოხერხდა. მომხდარ ტრაგედიას გამოეხმაურა ქვეყნის პრემიერ-მინისტრი შეჰბაზ შარიფი. მან გარდაცვლილთა ოჯახებს მიუსამძიმრა და დაუყოვნებლივი გამოძიება მოითხოვა.

# „ძალიან ყოჩაღი ხარ, მაქს“!

## 8 წლის ქართველ ბიჭს მაქსიმე კახიძეს ნიუ-იორკის მერმა ოცნება აუსრულა



„გამარჯობა ყველას. ჩემი სახელია მაქსიმე და ძალიან მიხარია, რომ დღეს აქ ვარ. მადლობა, მადლობა მერ მამდანის მოწვევისთვის, ამას ძალიან ვაფასებ. აბა, გინდათ, გაიგოთ, აქ როგორ აღმოვჩნდი? დაახლოებით ორი თვის წინ ჩავიწერე ვიდეო, სადაც ვთხოვდი მერ მამდანის, დაგვხმარებოდა მაკ-კინლის პარკში სათამაშო მოედნის გახსნაში. ის თითქმის ორი წელი დაკეტილი იყო. მაგრამ, იცით რა? რამდენიმე კვირის შემდეგ, პარკი საბოლოოდ გაიხსნა.

ასე რომ, მადლობა მერ მამდანის და ნიუ-იორკის პარკების დეპარტამენტს ჩემი აზრის მოსმენისთვის. ამას ძალიან ვაფასებ. ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია პარკების გახსნა, რადგან ბავშვებს სათამაშოდ უსაფრთხო და სახალისო გარემო სჭირდებათ.

ჩემი მშობლები ყოველთვის მეუბნებოდნენ, რომ ჩემს ხმას მნიშვნელობა აქვს და მინდა მადლობა გადავუხადო მათ ჩემი რწმენისთვის და იმისთვის, რომ სტიმულს მაძლევდნენ, ხმა ამომეღო. და მინდა სხვა ბავშვებმაც იცოდნენ, რომ თქვენს ხმასაც აქვს მნიშვნელობა. თუ ხედავთ რამეს, რაც შესაცვლელია, არასოდეს შეგეშინდეთ ხმის ამოღების. მადლობა Renew Crew-ს და გუნდის თითოეულ წევრს, რომელიც თავდაუზოგავად შრომობს, რათა ნიუ-იორკი საცხოვრებლად უკეთეს ადგილად აქციოს. და მადლობა მერ მამდანის. მოდით, შევინარჩუნოთ ნიუ-იორკის პარკები ბავშვებისთვის ღია“, – ამბობს ქართველი ემიგრანტი **მაქსიმე კახიძე.** რაზეც ნიუ-იორკის მერი პასუხობს: **„ძალიან ყოჩაღი ხარ, მაქსიმე“.**

* * *

**ბიჭის ისტორიამ ამერიკული მედიის ყურადღებაც მიიპყრო. Brooklyn Eagle-ის ინფორმაციით, მაქსიმეს Instagram-ზე გამოქვეყნებული ვიდეო ვირუსულად გავრცელდა.** ვიდეოს NYC Parks-იც გამოეხმაურა:

**„We heard you loud and clear, Max“ – „მაქს, შენი ხმა მკაფიოდ გავიგეთ.“**

ქალაქის პარკების სამსახურის წარმომადგენლის განცხადებით, პროექტის განხორციელება დააჩქარეს და განახლებული სათამაშო მოედანი თავდაპირველად დაგეგმილზე ადრე გახსნეს.

**McKinley Park**-ის სათამაშო მოედნის განახლება დაახლოებით 5 მილიონი დოლარის პროექტია. დიზაინზე მუშაობა 2023 წელს დაიწყო, მშენებლობა კი 2025 წლის მარტში დასრულდა.




# „ფუძეობა“ ამბროლაურში

**27 აგვისტოს ამბროლაურში, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის ორგანიზებით, სახალხო დღესასწაული „ფუძეობა 2026“ გაიმართება, რომლის ერთ-ერთი პარტნიორი, წელს პირველად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს შპს „საქართველოს აეროპორტების გაერთიანებასთან“ ერთად, ამბროლაურის ადგილობრივი დანიშნულების აეროპორტია.**

„საქართველოს აეროპორტების გაერთიანების“ ინფორმაციით, წლევანდელ ღონისძიებას ამბროლაურის აეროპორტი განსაკუთრებული პროგრამით შეუერთდება. პატარებისთვის სპეციალური საბავშვო სივრცე მოეწყობა, სადაც სტუმრებს სხვადასხვა აქტივობა, თამაში და გასართობი პროგრამა ელოდებათ.

„ღონისძიება მდინარე კრიხულას სანაპიროზე, მახალდიანის ქუჩაზე დაიწყება. „ფუძეობა 2026“-ის მთავარი გზავნილია – „დაუბრუნდი შენს ფუძეს“.

# მესტიის ქორწინების სახლის პროექტმა კიდევ ერთი გამარჯვება მოიპოვა

**პროექტი ტოკიოში გამართულ პრესტიჟულ კონკურსზე – „Japan International Design Award“ – დაჯილდოვდა.**

ქართველი არქიტექტორის მიერ შექმნილმა პროექტმა გაიმარჯვა ნომინაციაში – „ქვეყნის ისტორიულ მოტივებზე შექმნილი საუკეთესო საკულტო არქიტექტურა“. მესტიის უნიკალურ ბუნებრივ გარემოსა და სვანურ არქიტექტურულ მემკვიდრეობასთან ორგანულად შერწყმული კონცეფცია საერთაშორისო ჟიურიმ გამორჩეულ ნამუშევრად აღიარა. დაჯილდოების ოფიციალურ ცერემონიაზე პრიზი იუსტიციის სახლის თავმჯდომარის მოადგილე ოთარ ჯაფარიძეს გადაეცა. მესტიის ქორწინების სახლისთვის ეს უკვე მეორე საერთაშორისო ჯილდოა. მანამდე პროექტმა იტალიაში, „Rome Design Award“-ზე გაიმარჯვა.



# ღიმილი...

**მეგობრები შეიძლება ყალბი გყავდეს, მტრები კი მუდამ ნაღდები არიან!**

* * *

**– რატომ დაგაგვიანდა, ძამიკო? – კაცო, უკვე მოვდიოდი, მაგრამ ამ დროს ჩამომისხეს!..**

* * *

**ამბობენ, სამოთხე საკმაოდ უკაცრიელი ადგილია.**

* * *

**– საქმე არა გვაქვს? აბა, პირი საფერფლესთან მიიტანე და ცხვირი დააცემინე!..**

* * *

**– კი მომბეზრდა ამდენი სისულელის კეთება, მაგრამ, თუ არა მე, აბა, სხვა ვინ იზამს ამას?!.**

* * *

**ნუ ხარ ჩუმად! ცხოვრება ისედაც ხანმოკლეა! მაგრამ ზედმეტადაც ნუ იყბედებ – ნუ შეიმოკლებ სიცოცხლეს უფრო მეტად!**

* * *

**ბავშვობა მთავრდება მაშინ, როცა ოცნებას იწყებ იმაზე, რომ საახალწლო სურვილები შეგისრულოს არა თოვლის პაპამ, არამედ ფიფქიამ!**

**სკლეროზის პირველი ნიშანია სპეტაკი სინდისი.**

* * *



**გარდამავალი პერიოდი – ეს ის დროა, როცა პაპანაქება სიცხეში ვერ აგირჩევია – ნაყინი მიირთვა თუ ლუდი...**

* * *

**გამოთქმა „მე არ გირჩევ!“, თავისთავად უკვე რჩევაა.**

* * *

**ყველაზე მეტი მოწაფე ჰყავდა ღვინით სავსე კასრის მქონე დიოგენს...**

* * *

**თბილისური ესპერანტო, რომელიც ყველა ტურისტს გამოადგება: „ჯიგარი ხარ! გაიხარე!“, „ჰარე კრიშნა, ჰარე – ჰარე!“, „შად ლავ იუ!..“**

* * *

**ქალის კაბის ყველაზე მთავარი დეტალი – თავად ქალია, რომელიც მას ატარებს.**

# გივი თორაძის ფერწერული ტილო – „გრემის მთავარანგელოზი“ თელავის ისტორიულ მუზეუმს საჩუქრად გადაეცა

**თელავის ისტორიული მუზეუმის კოლექცია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნამუშევრით შეივსო. მუზეუმის ინფორმაციით, თელავის ისტორიულ მუზეუმს თელაველმა ქალბატონმა თინათინ გულიაშვილმა საჩუქრად გადასცა მხატვარ გივი თორაძის ფერწერული ტილო – „გრემის მთავარანგელოზი“.**

**„მუზეუმისთვის თითოეული მსგავსი შემოწირულება განსაკუთრებული მნიშვნელობისაა, რადგან იგი ხელს უწყობს მუზეუმის ფონდების გამდიდრებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვასა და მომავალი თაობებისთვის მის შენარჩუნებას. თელავის ისტორიული მუზეუმი გულითად მადლობას უხდის ქალბატონ თინათინს ამ შესანიშნავი ნამუშევრის უსასყიდლოდ გადმოცემისათვის“,** – აღნიშნულია ინფორმაციაში.



საქართველოს რესპუბლიკა

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქოგულია**
(599-36-00-35)

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04)

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი, თემურ ქორიძე, ოთარ ტურაბელიძე, გია პლატონიშვილი.**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქოგულია**
(577-77-27-17)

ტექნიკური რედაქტორი:
**კახა ქორიძე.**

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია, მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი.**

**მისამართი:**
თბილისი,
აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
**sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმოტანილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე.**

იბეჭდება სტამბა
**„ტორში“**
ზიგზაგის ქუჩა N6

uac(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 689431

**რეკლამისთვის დარეკეთ:**
**577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ნებისმიერი თანხა ჩარიცხეთ ანგარიშზე:
GE90BG0000000538329790

**მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 31 აგვისტოს**